გაზეთი ბიჯერია, „ჯერხია" ერთი

ვერსია

№120 (876) 15 - 17 ნოემბერი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

მხოლოდ 40 თეთრი

როგორ ცდილობდნენ სააკაშვილი, ბენდუქიძე და არველაძე წყლის ბიზნესის „დათრევას"

„პაატა გიორგაძე ხან ჯოჯრის ტყეში გაიყვანეს და საშინლად სცემეს, რომ პროექტი დაეთმო, ხან ე.წ. მოდუღის შენობაში პროექტის დათმობას ბეწოლით აიძულებდნენ. ბოლოს, პროექტის სანაცვლოდ, 20 000 000 აშშ დოლარი შესთავაზეს და, ოჯახთან ერთად, საზღვარგარეთ საცხოვრებლად წასვლას აიძულებდნენ"

გვ. 6

გია ხუხაშვილი: „რკინიგზაში გაფიცვაა თუ საბოტაჟის მცდელობა?!"

გვ. 2

რატომ არ უფინანსებს სახელმწიფო უფასო დაზღვევის მქონე პირებს გადაუდებელ ოპერაციებს

დავით სერგეენკო: „ქამის წინ ხელი დაიბანეთ?!"

მოსკოვმა კიევი კვლავ გაზით მოახრჩო

პუტინ-იანუკოვიჩის საიდუმლო შეხვედრა — რადას უცნაურობის ნამდვილი მიზეზი

სამართალი

„კვალიფიკაციის ზრდა მუდმივი პროცესია..."

გვ. 5

„საქართველოს ბანკმა" მცირე და საშუალო ბიზნესის დასაფინანსებლად 10 მილიონი აშშ დოლარი მიიღო

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA

ბანკი, Citi-სა და OPIC-თან ერთად, საქართველოში მიკროდაფინანსების ზრდას უწყობს ხელს

გვ. 7

პარლამენტი უნდა დაჯარიმდეს?!

„ნაცოცნებური" ხუშტურები — რატომ „დაარიხინებენ" საკანონმდებლო ორგანოს წინ და უკან, იხარჯება თუ არა ბიუჯეტის ფული და რომელი კომპანია არემონტებს ე.წ. თბილისის პარლამენტს

გვ. 3

გია ხუხაშვილი: „რკინიგზაში გაფიცვაა თუ საბოტაჟის მცდელობა?!“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

„საქართველოს რკინიგზის“ თანამშრომლები ხუთშაბათს, 14 ნოემბერს გაიფიცნენ. გაფიცულები რკინიგზის ადმინისტრაციისგან ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურებას, გამჭვირვალე საპრემიო სისტემის დაწესებას, ასევე სტაჟისა და კვალიფიკაციის მიხედვით დანამატების გაცემას ითხოვენ. გაფიცვის ორგანიზატორი საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებაა. მისი ინფორმაციით, რკინიგზელების გაფიცვას გარდაბნის, ბათუმის, ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ხაშურის რკინიგზის თანამშრომლებიც შეუერთდნენ. პარალელურად, „საქართველოს რკინიგზის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი დაჩი ცაგურია აცხადებს, რომ ხელმძღვანელობა მზადაა, მოლაპარაკება აწარმოოს პროფკავშირების წარმომადგენლებთან, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ისინი ულტიმატუმის ენით საუბარს შეწყვეტენ.

გაფიცვამდე ერთი დღით ადრე, „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციამ განცხადება გაავრცელა. კომპანიის მიერ რკინიგზელთა ახალი პროფკავშირების მიერ ორგანიზებული გაფიცვა აღქმულია, როგორც გარედან კონტროლირებადი, ცალკეული ლიდერების პირადი ინტერესების დასაკმაყოფილებლად მიმართული ქმედება და ცოტა აქვს საერთო რკინიგზის თანამშრომელთა ინტერესების დაცვასთან.

„მიმდინარე წელს, თანამშრომელთა მოთხოვნების გათვალისწინებით, გაიზარდა ღამის, დასვენებისა და სადღესასწაულო დღეებში ნამუშევარი დროის ანაზღაურება, რაც 3 500-ზე მეტ თანამშრომელზე გავრცელდა. ბოლო კალენდარული წლის განმავლობაში, შრომის ანაზღაურება 30 000 000 ლარით გაიზარდა, სახელფასო სარგო კი დასაქმებულთა 80%-ს მოემატა. უკვე არსებულ ჯანმრთელობის სადაზღვევო პაკეტთან ერთად, ამოქმედდა კრიტიკული დაავადებების (კარდიოქირურგია, ონკოლოგია) დაფინანსების პროგრამა. ამ პროგრამის მიხედვით, კომპანია რკინიგზელებსა და მათი ოჯახის წევრებზე 6 000 ლარამდე ფულად დახმარებას გასცემს. ასეთი დახმარებით 50-ზე მეტმა თანამშრომელმა უკვე ისარგებლა, ამ მიზნით კი 300 000 ლარზე მეტია გაცემული. გავითვალისწინეთ რა მზარდი მოთხოვნა უმაღლეს განათლებაზე, ხაშურსა და სამტრედიის სასწავლო ცენტრებში, აბიტურიენტთა უფასო სწავლებას ვახორციელებთ. ამოქმედდა რკინიგზელთა შვილების წახალისების პროგრამა, თითოეულ წარჩინებით სკოლადამთავრებულს გადაეცემა ჯილდო — 500 ლარის ოდენობით. ლოიალურობის პროგრამით, საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით — 200-ლარიანი, ბავშვის დაბადებისას — 500-ლარიანი, ხოლო პირველ კლასში წასვლისას — 50-ლარიანი ფულადი დახმარება გაიცემა. შვებულებაში და პირველად პენსიაზე გასვლისას გაიცემა დანამატები შრომითი სტაჟის მიხედვით, ასევე გათვალისწინებულია ყოველთვიური დახმარება ვეტერან რკინიგზელებზე 2 500 ლარის ოდენობით.

„საქართველოს რკინიგზის“ მენეჯმენტი სისტემატურ დიალოგს აწარმოებდა ორივე, დღეისთვის დარეგისტრირებულ პროფკავშირთან, აქტიური განხილვის შედეგად, კოლექტიური ხელშეკრულების პროექტები გადაეცათ, სადაც კანონმდებლობის მოთხოვნებიდან და დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული თანამშრომელთა ინტერესები. თუმცა რკინიგზელთა ახალმა პროფკავშირმა, რადიკალური მოთხოვნების დაყენებით, მოლაპარაკების პროცესი ჩიხში შეიყვანა. მათ არ განიხილეს შეთავაზებული პროექტი წლიური შედეგების მიხედვით თანამშრომელთა პრემიების შესახებ; უარყოფილ იქნა ზედმეტად ნამუშევარი საათების დასვენების დღეებით ჩანაცვლების შეთავაზება“, — ნათქვამია „საქართველოს რკინიგზის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

„ეს პროცესი გარედან იმართება, რკინიგზელთა ნაწილის მოთხოვნები კი დესტრუქციულია — ჩვენი ინფორმაციით, ამ პროცესს კონკრეტული დესტრუქციული ძალები უწყობენ ხელს, რათა აჩვენონ, რომ თითქოს ქვეყანაში ვითარება აირია, რაც რეალობას არ შეესაბამება“, — განმარტა „ვერსიასთან“ საუბრისას დაჩი ცაგურიამ.

რა ხდება რეალურად „საქართველოს რკინიგზაში“? ვინ არიან ის დესტრუქციული ძალები, რომლებიც რკინიგზელებს საბოტაჟის მცდელობისკენ უბიძგებენ? — „ვერსიას“ ეკონომიკის ექსპერტი **გია ხუხაშვილი** ესაუბრა.

— ისეთ ორგანიზაციაში, როგორიც რკინიგზაა, ულტიმატუმის ენაზე საუბარი არა მხოლოდ არასწორია, არამედ სახიფათოცაა. ჩვენი გეოპოლიტიკური ფუნქცია გადაზიდვებია და ასეთმა ქმედებამ გარკვეულწილად, შეიძლება, ქვეყნის უსაფრთხოებას პრობლემები შეუქმნას. ჩემი აზრით, სერიოზულად უნდა დავინტერესდეთ, რა შეიძლება იდგეს ამ ქმედების უკან. იმ ადამიანებს არ ვგულისხმობ, ვინც გაიფიცა, ორგანიზატორებზე ვსაუბრობ, რომლებსაც შესანიშნავად ესმით, რას შეიძლება უკავშირდებოდეს ეს ყოველივე. დღეს რკინიგზაში სოციალურად ბევრად უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე წინა ხელმძღვანელობის დროს იყო, მაგრამ მაშინ არავინ გაფიცულა.

— ბატონო გია, ვინ არიან ის დესტრუქციული ძალები, რომლებიც რკინიგზელებს გაფიცვისკენ უბიძგებენ?

— არ ვიცი, კონკრეტულად, ვის ინტერესშია გაფიცვა, მაგრამ რკინიგზის ირგვლივ ბევრი ინტერესჯგუფია, რომელიც თავის დროზე, აქ ხელებს ითბობდა. დღეს მათი ე. წ. ფინანსური წყარო გადაკეტილია. კონკრეტულად არავის ვადებ ხელს, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ სწორედ ისინი იყვნენ დაინტერესებულნი, რომ დაძაბულობა შექმნან. რკინიგზაზე თუნდაც ერთი დღით პრობლემების შექმნას, შესაძლოა, გრძელვადიანი და გაცილებით სერიოზული ზარალი მოჰყვეს. მით უმეტეს, როდესაც ხელმძღვანელობა უარს არ ამბობს მოლაპარაკებაზე, მაგრამ მხოლოდ სამუშაო რეჟიმში და არა ულტიმატუმის ენაზე! ასეთ ვითარებაში, ამ ტიპის რადიკალური ღონისძიებები გარკვეულ კითხვებს ბადებს, რაც აუცილებლად გასარკვევია. ბევრად უარესი მდგომარეობა იყო წინა ხელისუფლების პირობებში, მაშინ რატომ არ გამოდიოდნენ, რა, კარგად ცხოვრობდნენ? დღეს რატომ გააქტიურდნენ, დამატებითი ინტერესი გაჩნდა ე.წ. დაზარალებული ბიზნესმენების მხრიდან? არ გამოვრიცხავ, რომ ეს გაფიცვა კი არა, საბოტაჟის მცდელობა იყოს... როდესაც რკინიგზაზე გარკვეული ბიზნესჯგუფები ფულს იპარავდნენ და საკმაოდ სერიოზული შემოსავალი მათ ჯიბეში ილექებოდა — დავით კეზერაშვილის ჯგუფს რომ რკინიგზიდან 10 000 000-12 000 000 აშშ დოლარი სახლში მიჰქონდა, ეს ხალხი მაშინ ხმას რატომ არ იღებდა?

სასამართლომ ნიკა გვარამია და ალექსანდრე ხეთაგური უდანაშაულოდ სცნო

თბილისის საქალაქო სასამართლომ ნიკა გვარამია, ალექსანდრე ხეთაგური, დევი კანდელაკი და მათთან ერთად ბრალდებული პირები უდანაშაულოდ სცნო. უწყების ინფორმაციით, სასამართლომ მათ მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა და ყველა ბრალდებული ყველა წარდგენილ ბრალდებაში უდანაშაულოდ სცნო. მხარეებს დასაბუთებული განაჩენი 14 დღის ვადაში გადაეცემათ, ბრალდებულებს კი გირაოში გადახდილი თანხა უკან დაუბრუნდებათ.

„ინტერპრესნიუსი“

რუსუდან შელია
557-100-768

იმ მედიკამენტების ჩამონათვალი, რომლებიც რეცეპტით გაცემას დაექვემდებარება, ეტაპობრივად განისაზღვრება — ამის შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა, დავით სერგეენკომ მედიის წარმომადგენლებს 13 ნოემბერს გამართულ ბრიფინგზე განუცხადა. მისივე განმარტებით, ამ გზით ჯანდაცვის სამინისტრო მეორე ჯგუფის მედიკამენტების რეალიზაციის ახალ რეგულირებაზე უმტკივნეულოდ გადასვლას გეგმავს, რათა სააფთიაქო ბიზნესი მოგებისა და ბრუნვის შემცირებისგან დაიცვას, მოსახლეობას კი წამლის შეძენისას ნაკლები ბარიერები შეექმნას.

რატომ არ უფინანსებს სახელმწიფო უფასო დაზღვევის მქონე პირებს გადაუდებელ ოპერაციებს

დავით სერგეენკო: „ქამის წინ ხელი დაიბანეთ?!“

„პირველ ეტაპზე, რეცეპტით გაცემას, დიდი ალბათობით, გულ-სისხლძარღვთა წამლები დაექვემდებარება ანუ მათი შეყვანა, პირობითად, მეორე ჯგუფის მედიკამენტებში მოხდება. საერთოდ, წამლები ორ ჯგუფად იყოფა: წამლები, რომლებიც იყიდება რეცეპტის გარეშე და წამლები, რომლებიც უნდა გაიცეს რეცეპტით. საქართველოს ბაზარზე, ვთქვათ, ხუთი ათასი წამლიდან, რეცეპტით მხოლოდ 10 წამალი თუ გაიცემა, რაც მიუღებელი და კატასტროფული მაჩვენებელია... საქართველოში დამკვიდრდა აზრი, რომ წამლის დანიშვნა პაციენტს თავადვე შეუძლია, მსგავსი დამოკიდებულება კი იმის შედეგია, რომ ბოლო წლებში ექიმები ველური ბაზრის პირობებში მუშაობდნენ და თვითგადარჩენაზე ზრუნავდნენ. კი ბატონო, ყველამ იცის, რომ თავისტკივილის დროს „ციტრამონი“ უნდა დალიოს, მაგრამ არის შემთხვევები, როცა მკურნალობისთვის ექიმის დანიშნულება აუცილებელია“, — ამბობს სერგეენკო.

ჯანდაცვის მინისტრის მტკიცებით, ზემოხსენებული ინიციატივა მედიკამენტების გაძვირებას ან ბიუროკრატიული პრობლემების წარმოქმნას არ გამოიწვევს, რადგან ამ რისკების გაანალიზებაზე უწყება დიდი ხანია მუშაობს.

„ვერსიის“ კითხვაზე, რატომ ეუბნებიან საყოველთაო დაზღვევის მქონე პირებს გადაუდებელი ოპერაციების დაფინანსებაზე უარს და აქვს თუ არა ინფორმაცია ამ მიმართულებით არსებულ დარღვევებზე, მინისტრმა განაცხადა, რომ იდეალური პროექტი არ არსებობს, საყოველთაო დაზღვევა კი ეფექტურად მუშაობს: **„არ არსებობს ისეთი სისტემა, რომლითაც თითოეული მოქალაქე კმაყოფილი იქნება. ბოლო მონაცემებით, მედიაციის სამსახურში უკმაყოფილების გამომხატველი 15 786 განაცხადია შესული, აქედან მხოლოდ 327 განცხადება საყოველთაო ჯანდაცვაზე შევიდა. კარგი იქნება, თუ ერთი საჩივარიც არ შემოვა, მაგრამ ეს სტრუქტურის ადმინისტრირებაზე ზოგად სურათს გვაძლევს“.**

ჯანდაცვის მინისტრი კერძო სადაზღვევო კომპანიებში არსებულ პრობლემებსაც შეეხო და აღნიშნა, რომ „არქიმედეს გლობალ ჯორჯიაში“ პრობლემები, პრაქტიკულად აღმოფხვრილია: **„არქიმედეს გლობალ ჯორჯია“ სამედიცინო სადაზღვევო კომპანიებში გამონაკლისია, სადაც ფინანსური პარამეტრები იმდენად დარღვეული იყო, რომ სექტემბრის შუა რიცხვებში კომპანიაში იძულებითი მმართველის შესვლა აუცილებელი გახდა. გადახდისა და სერვისების ანაზღაურების პრობლემები, მეტ-ნაკლებად, ყველა სადაზღვევო კომპანიასთან არსებობს, თუმცა თითოეული ხარვეზი ეფექტურად სწორდება. „არქიმედეს გლობალ ჯორჯია“ დავალიანებებს ანაზღაურებს, თუმცა ბუნებრივია, ძველი პრობლემები რჩება, კომპანიის დავალიანება კი 12 მილიონი ლარია“.**

სერგეენკომ დასძინა, რომ სამინისტრო სამედიცინო დაწესებულებებთან შუამავლის ფუნქციას ასრულებს, „არქიმედეში“, ბოლო 2 თვის განმავლობაში, პრობლემები აღარაა.

საქართველოს ჯანდაცვის მინისტრმა ოსიაურის საწვრთნელ ბანაკში ჯარისკაცების მოწამვლის მიზეზებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ საკვების დამზადებისას დაშვებული შეცდომების გარდა, ჯარისკაცების მოწამვლის მიზეზი, შესაძლოა, ჰიგიენის დაუცველობაც გამხდარიყო, ამიტომ მინისტრმა თითოეულ მოქალაქეს ქამის წინ ხელების დაბანისკენ მოუწოდა: **„ჩემთვის ცნობილია, რომ 61 სამხედრო მოსამსახურეს მსუბუქი მოწამვლის ნიშნები ჰქონდა. ამის მიზეზი, სავარაუდოდ, საკვების დამზადების პროცესში დაშვებული შეცდომები გახდა, რაზეც პასუხისმგებლობა კვების ბლოკის კონკრეტულ თანამშრომელს უკვე დაეკისრა, თუმცა საკვებით მოწამვლის მიზეზი მხოლოდ უხარისხო პროდუქტი არაა — აუცილებელია ჰიგიენის დაცვა ანუ მომხმარებლებმა ქამის წინ ხელი უნდა დაიბანოს“.**

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

„რა დავაშავეთ, ნენა, ამის ფასი, დალაგებული პრეზიდენტი რომ არ გვყავს?!“, — ეს ფრაზა პირველად დედულეთში, გურიაში მაშინ გავიგე, მიხეილ სააკაშვილს ჯერ კიდევ მესიად რომ აღიქვამდნენ და ნაციონალების მზეს ფიცულობდნენ. მახსოვს, ვიხუმრე, გურულებს ან „დიდი გურულის“ — შევარდნაძის ნოსტალგია შემოგაწვათ, ან „მესამე თვალი“ გაგეხსნათ-მეთქი. „გაგვხსნია თუ არა მესამე თვალი?!“, — რამდენიმე თვეში გურიაში კვლავ ჩასულს, თითქოს ნიშნისმოგებით მითხრეს გურულებმა და მმართველი გუნდის „დოულაგებლობაზე“ „დაიწუწუნეს“ — „რას დაარიხინებენ აქეთ-იქით, ნენა, ამ ძეგლებს“. თავის დროზე ძეგლების ადგილმონაცვლეობა „ნაციონალური ახირების“ გამოვლინებად ბევრმა ჩათვალა. ისიც ითქვა, მადა ჭამაში მოუვათ და ახალ-ახალი აკვიატებით „გაგვანებივრებენო“. ასეც მოხდა — ჯერ სააკაშვილმა თქვა, ეს ევროპის ჰაერნაყლაპი კაცი საბჭოურ გადმონაშთ კანცელარიაში ფეხს როგორ შევდგამო და ავლაბარში დასავლური არქიტექტურის, უზარმაზარი შუშის სასახლე აიშენა, ამასობაში კი, ახალი გენიალური იდეა დაიბადა „ნაციონალურ წიაღში“ და პარლამენტი თბილისიდან ქუთაისში გადაისროლეს. ნაციონალებს კიდევ კარგი, არ დასცალდათ, თორემ მათი გაქანების ამბავი რომ ვიცი, ადგილებს ქალაქებსაც შეუცვლიდნენ და ვინ იცის, იქნებ ოცნებაც ამხდენოდა — თბილისი ზღვისპირა ქალაქი გამხდარიყო?!

პარლამენტი უნდა დაჯარიმდეს?!

„ნაცოცნებური“ ხუშტურები — რატომ „დაარიხინებენ“ საკანონმდებლო ორგანოს წინ და უკან, იხარჯება თუ არა ბიუჯეტის ფული და რომელი კომპანია არემონტებს ე.წ. თბილისის პარლამენტს



თბილისში გადმოტანას უკვე სამ-მეოთხედიანი ქვორუმი დასჭირდება, რისი მიღწევაც დღევანდელ ვითარებაში ძნელად წარმოსადგენია“.

მიუხედავად ამისა, საპარლამენტო უმრავლესობის წევრები დარწმუნებულნი არიან, რომ ხმების რაოდენობა ეყოფათ და პარლამენტს თბილისში დააბრუნებენ. ვიცე-სპიკერი ზვიად ძიძიგური ამტკიცებს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით, უმცირესობასთან კონსულტაციები მიმდინარეობს და თებერვალში საქართველოს პარლამენტი მუშაობას თბილისში გააგრძელებს, თუმცა ძიძიგური „უკან დასახევ გზასაც“ იტოვებს და ამბობს, თუ უმცირესობა და უმრავლესობა ვერ შეთანხმდა, საკონსტიტუციო ცვლილებების თვალსაზრისით, პრობლემები იქნებაო. თუკი ასეა, რატომ არემონტებენ პარლამენტის ძველ შენობას, ძიძიგურის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ინტენსიურად“ და რატომ ყიდულობენ ავეჯს? პარლამენტმა საკანონმდებლო ცვლილება რომ ვერ მიიღოს, როგორ გაამართლებენ რუსთაველის გამზირზე მდებარე შენობაზე რამდენიმე ათეული მილიონის დახარჯვას? ლევან ალაფიშვილის თქმით, პარლამენტის ძველი შენობის გარემონტება საფუძველსმოკლებულია:

„ეს ქმედება ჩემთვის, როგორც გადასახადის გადამხდელი მოქალაქისთვის, ნაჩქარევი გადაწყვეტილების მაგალითია. პარლამენტში საბოლოო კონსტიტუციური გადაწყვეტილების მიღებამდე, ტენდერებისა და კონკურსების გამოცხადება, სარემონტო სამუშაოების ჩატარება, ავეჯისა და ტექნიკის შეძენა საფუძველსმოკლებულია. ეს არასწორი ნაბიჯია, რომლის შედეგადაც მივიღეთ გარემოება, როცა კონსტიტუციურად, პარლამენტი თბილისში ვერ გადმოდის, თანხები კი იხარჯება“.

ცალკე თემაა, ვისი ჯიბიდან ამოღებული მილიონებით ამზადებენ პარლამენტის ძველ შენობას? სახელმწიფო ბიუჯეტში არაა ჩანაწერი ამ მიზნით გამოყოფილი ხარჯების შესახებ და მხოლოდ ისაა მითითებული, რომ ზოგადად, პარლამენტისთვის, 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილია 60 მილიონი ლარი. აქედან, 54 მილიონზე მეტი — უშუალოდ, საკანონმდებლო საქმიანობისთვის. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სწორედ ამ აქედან გამოიყო თანხა პარლამენტის ძველი შენობის გასარემონტებლად, თუმცა ლევან ალაფიშვილის ინფორმაციით, **„როგორც ერთ-ერთმა პარლამენტარმა განაცხადა, ეს შენობა გადაცემული აქვს ერთ-ერთ საერთო საჯარო იურიდიულ პირს თუ სახელმწიფო კომპანიას და თანხებიც აქედან იხარჯება. სახელმწიფო საწარმოებისა და სსიპ-ების ხარჯები კი სახელმწიფო ბიუჯეტში არ გაიწერება. სხვათა შორის, თავის დროზე, ამავე სქემით აშენდა პრეზიდენტის რეზიდენცია — მისი მშენებლობისთვის თანხა სახელმწიფო უზრუნველყოფის კომპანიამ გაიღო. ეს სქემა ოპტიმალური არაა, რადგან თანხების ხარჯვის გამჭვირვალობის ხარისხი ძალიან დაბალია“.**

ვერაფერს იტყვი, „გაუმჭვირვალე მშენებლობების“ ფანტასტიკური სქემა მოუფიქრებიათ „ნაციონალურ ტვინებს“. ახალი ხელისუფლება კი, ჩანს, მათ ტრადიციას აგრძელებს — თანხა იხარჯება, ვერ გააკონტროლებ, რეალურად, რაში რამდენი და ვერც შეედავები, ბიუჯეტში რატომ არაა გაწერილი ხარჯი.

სამაგიეროდ, პარლამენტს შეედავები, რომ პრაქტიკულად, უკანონოდ ატარებს სხდომებს ქუთაისში — შენობა ექსპლუატაციაში არაა შესული და შესაბამისად, მასში შესვლის უფლება საკანონმდებლო ორგანოს კანონით არ ჰქონდა. სხვათა შორის, ლევან ალაფიშვილმა ამის შესახებ თავის დროზეც განაცხადა, მაგრამ შესაბამისმა ორგანოებმა წაუყრუეს და დღემდე ასეა.

ლევან ალაფიშვილი: **„ექსპლუატაციაში მიღება სახელმწიფოს მიერ ამა თუ იმ დასრულებული შენობის ვარგისად აღიარებას ნიშნავს. კანონით, მე, რიგითმა მოქალაქემ სახლი რომ ავიშენო და ექსპლუატაციაში შესვლამდე მასში ვიცხოვრო, ჯარიმის გადახდა მომიწევს — შეიძლება, 10-15 ათასი ან მეტი დამაკისრონ. პარლამენტი ამდენი ხანია, ასეთ შენობაშია და ქუთაისის მერიის შესაბამისი სამსახური არ რეაგირებს. მესმის ფაქტობრივი გარემოება, რომ საქმე ეხება საკანონმდებლო ორგანოს, მაგრამ იმ პარლამენტის დადგენილი არ არის, უსაფრთხოების კოდექსი თუ სამშენებლო კანონმდებლობა? მე თუ მაჯარიმებ, კანონმდებელ ორგანოს რატომ არ აჯარიმებ? თვითმმართველობის შესაბამისმა სამსახურმა, ვინც ამ ტიპის შენობის ექსპლუატაციაში მიღებაზეა პასუხისმგებელი, საჭირო ზომები უნდა გაატაროს და სანქცია გამოიყენოს პარლამენტის მიმართ. ვინც ამას არ აკეთებს, მან პასუხი სამსახურებრივი უფლებამოსილების შეუსრულებლობისთვის უნდა აგოს — ადმინისტრაციული თუ სისხლის სამართლებრივი წესით, შესაბამისმა ორგანომ უნდა გადაწყვიტოს“.**

როცა ივანიშვილის თანაგუნდელები ნაციონალებს მილიონების განიავებაში ამხელენ, ერთ-ერთ მაგალითად ქუთაისში პარლამენტის გადატანაც მოჰყავთ. რა საჭირო იყო ახალი შენობის აშენება და ლამის 75 მილიონი ლარის დახარჯვა, ეს ფული სხვა რამისთვის გამოეყენებინათო. ახლა რა საჭიროა მილიონების დახარჯვა იმ შენობის გასარემონტებლად, რომელშიც არც კი იცი, პარლამენტი გადმოვა თუ არა? თუ მაშინ ნაციონალების მიერ ფულის ხარჯვას ფლანგვა და ხალხის ყვლეფა ერქვა, იგივე საქციელს ახლა სხვა ტერმინი რატომ აქვს? რიგითი მოქალაქისთვის რა მნიშვნელობა აქვს, ვინ გაყვლეფს? მთავარია, გაყვლეფილი რჩება და, ნებით თუ უნებლიეთ, მუდმივად ვიღაცის ხუშტურებზე დადის. მოდი და ნუ დაეთანხმები ჩემს ნაცნობ გურულს, „რა დავაშავეთ, ნენა, ამის ფასი“...

P.S. სხვათა შორის, „ვერსია“ იმის გასარკვევად, იხარჯება თუ არა ბიუჯეტის ფული და რომელი კომპანია არემონტებს ე.წ. თბილისის პარლამენტის შენობას, საკანონმდებლო ორგანოს აპარატს დაუკავშირდა, სადაც განგვიცხადეს, ყველაფერს დავაზუსტებთ და შეგატყობინებთო... „ვერსია“ პასუხს ელოდება...

მას შემდეგ კი, რაც ქვეყნის მმართველობა ივანიშვილის გუნდმა გადაიბარა, ახალ-ახალი აკვიატებები ვიხილეთ: ჯერ სააკაშვილის საამაყო „მშვიდობის ხიდი“ არ მოუვიდათ თვალში, მერე, „ნაციონალების იუსტიციის სახლებს“ (?) დაერივნენ, მერე ქუთაისიდან პარლამენტის თბილისში დაბრუნება გადაწყვიტეს, ბოლოს კი თქვეს, ჩვენი პრეზიდენტი იმ შენობაში როგორ უნდა შევიდეს, სადაც სააკაშვილი იჯდა, ავლაბარში პრეზიდენტის რეზიდენცია აღარ იქნებაო!

არავინ იცის, 4 წლის შემდეგ რა მოხდება, ხელისუფლებაში რა ძალა მოვა. სამაგიეროდ, პოლიტიკურმა პრაქტიკამ გვაჩვენა და ყველამ იცის, რომ ვინც მოვა, მისი ხუშტურების ატანა მოგვიწევს. დიახ, წინა და ახლანდელი ხელისუფლების რიგი ქმედებების შესატყვისი ეპითეტი სწორედ „ხუშტურია“. სხვა რა შეიძლება უწოდო საქციელს, როცა არც კანონი გაინტერესებს, არც მორალი, არც სხვისი აზრი და ოღონდ შენი სურვილები დაიკმაყოფილო, ყველაფერზე მიდიხარ? მერე რა, თუ ამით ვინმეს პრობლემას უქმნი?! მერე რა, თუ ამ სურვილების ასრულებაში შენი ქვეყნის ისედაც გაძვალტყავებული მოქალაქეების გადასახადებით შევსებული სახელმწიფო ბიუჯეტიდან იხარჯება კოლოსალური თანხა?! მთავარია, რომ თავის დროზე, სააკაშვილი განთავსდა თანამედროვე ტიპის რეზიდენციაში, პარლამენტი — ქუთაისში და ახალი პრეზიდენტიც განთავსდება იქ, სადაც მოესურვება!

იურისტი ლევან ალაფიშვილი აცხადებს, რომ კანონი არ არეგულირებს საკითხს, კონკრეტულად, სად უნდა იჯდეს ქვეყნის პირველი პირი, **„თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ საკითხი შეიძლება, სუბიექტურად გადაწყდეს — დედაქალაქის შესახებ კანონში არის ჩანაწერი, რომ ადმინისტრაციული ორგანოების ადგილსამყოფელი საქართველოს დედაქალაქია. აღნიშნულიდან გამომდინარე, სუბიექტური გადაწყვეტილება ვერ იქნება მიღებული. პირდაპირი ჩანაწერი, რამდენი რეზიდენცია შეიძლება ჰქონდეს პრეზიდენტს ან სად შეიძლება განთავსდეს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, კანონში არ არსებობს, მაგრამ გარკვევით წერია, რომ ეს უნდა მოხდეს თბილისში“.**

ცხადია, კანონში ვერ ეწერება, დედაქალაქში კონკრეტულად სად, რომელ შენობაში უნდა მდებარეობდეს პრეზიდენტის ადმინისტრაცია და შესაბამისად, ეს საკითხი კანონის დონეზე არ წყდება, ამიტომაც ახალ პრეზიდენტს შეუძლია დედაქალაქის ნებისმიერ ქუჩაზე, ნებისმიერ შენობას დაადოს ხელი და თქვას, დაე, ამ შენობაში იყოს ჩემი რეზიდენციაო ან, საერთოდ, სააკაშვილის მსგავსად, ახალი ტიპის შენობაში შესვლა მოისურვოს და მისი მშენებლობისთვის ხარჯი სახელმწიფომ გამოყოს. აქვს სახელმწიფოს იმის ფუფუნება, რომ ყოველი ახალი პრეზიდენტის ახალ-ახალი კაპრიზი შეასრულოს? — საქართველოში უმუშევართა, სოციალურად დაუცველთა და უსახლკაროთა რაოდენობა ქვეყნის მმართველებს, არ მგონია, ამის მორალურ უფლებას აძლევდეს!

უფრო რთულადაა საქმე პარლამენტის გადატანა-გადმოტანასთან დაკავშირებით. სხვათა შორის, ლევან ალაფიშვილი ადმინისტრაციული ორგანოების საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განფენის მომხრე თავის დროზეც არ იყო, მაგრამ ეს, როგორც იტყვიან, ჩავლილი მატარებელია — კონსტიტუციაში ცვლილება შევიდა, სადაც პარლამენტის განთავსების ადგილად ქუთაისია მითითებული და ამაზე დღეს საუბარი აღარ ღირს. სამაგიეროდ, იმაზე უნდა დავფიქრდეთ, ჰქონდა თუ არა ხელისუფლებას უფლება, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილების მიღებამდე, თბილისში, პარლამენტის ყოფილი შენობის გასარემონტებლად, ავეჯისა და აპარატურის შესაძენად თანხა დაეხარჯა? ლევან ალაფიშვილის აზრით, ხელისუფლების ეს ქმედება, რბილად რომ ვთქვათ, ნაჩქარევია:

„შესაბამისი კონსტიტუციური ცვლილება პარლამენტმა ვერ მიიღო. პრეზიდენტის ფიცის დადებამდე ანუ ახალი კონსტიტუციის ამოქმედებამდე ეს ცვლილება ვეღარ განხორციელდება, რაც იმას ნიშნავს, რომ პარლამენტის ქუთაისიდან

ვერსიანიუსი

გიორგი მარგველაშვილი: „ბიუჯეტი არ გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ ფეშენებელურ სასახლეებში ვიცხოვროთ“

საქართველოს ბიუჯეტი არ გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ სახელმწიფო მოხელეებმა ფეშენებელურ სასახლეებში ვიცხოვროთ ან ფეშენებელური ინაუგურაცია მოვაწყოთ, — ამის შესახებ ჟურნალისტებს ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა განუცხადა.

მისივე განმარტებით, აღნიშნულის გამო მისი ინაუგურაცია პომპეზური არ იქნება. აღსანიშნავია, რომ ღონისძიების ფარგლებში მარგველაშვილი ქართველ ხალხს სიტყვითაც მიმართავს.

„ეს იქნება მადლიერება, როგორც ჩატარდა არჩევნები და როგორ გვენდო ქართველი ხალხი. იქნება მომავალ გეგმებზე საუბარი... ჩვენ ვზეიმობთ არა მხოლოდ დღესასწაულებით, არამედ ყოველდღე, როდესაც ვაშენებთ კარგ, სწორ და ჯანსაღ ქვეყანას, მაგრამ ხარჯები უნდა იყოს იმის შესაბამისი, რაც არის ბიუჯეტი. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრი გაჭირვებულია, ვისაც ჯობია, რომ ეს ფული დავახარჯოთ“, — განაცხადა ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა.

„ინტერპრესნიუსი“

მოსკოვმა კიევი კვლავ გაზით მოახრჩო

პუტინ-იანუკოვიჩის საიდუმლო შეხვედრა — რადას უცნაურობის ნამდვილი მიზები

მირიან ლეგანიძე
5-77-41-38-41

დასავლეთში დიდი ხანია შიშობდნენ, რომ ბოლო მომენტში კიევი მაინც უკან დაიხევდა და წელს უკრაინა ევროკავშირთან ასოცირებული წევრის სტატუსს ვერ მიიღებდა. არადა, ვილნიუსის სამიტის მთავარი მოვლენა სწორედ უკრაინის — ევროპისთვის ერთ-ერთი უდიდესი და გეოსტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი ქვეყნის ევროპულ ოჯახთან დაახლოებაა და არა საქართველოსა და მოლდოვასთან ასოცირების პარაფირება.

ცოტა ხნის წინ უკრაინაში ევროკავშირის ელჩმა, იან ტომბინსკიმ აღნიშნა: **„უკრაინა და ევროკავშირი ხელშეკრულების ხელმოწერის ზღურბლზე დგანან. იმედი მაქვს, ეს მოხდება, თუმცა ახლა ნაკლებად ოპტიმისტი ვარ, ვიდრე ერთი თვის წინ ვიყავი“.**

ავბედითი მოლოდინის მიუხედავად, 13 ნოემბერს უკრაინის პარლამენტის მიერ იმ 3 კანონპროექტის ჩაგდება, რომელთა მიღებასაც ევროკავშირი კიევისგან ასოცირებული წევრობის სანაცვლოდ ითხოვს, მაინც მოულოდნელი აღმოჩნდა. მათგან უმთავრესი, რაღა თქმა უნდა „ტიმოშენკოს კანონია“. მან პატიმრებს, კონკრეტულად კი, ექსპრემიერ იულია ტიმოშენკოს საზღვარგარეთ მკურნალობის უფლება უნდა დართოს. მას შემდეგ, რაც დეპუტატები ამ კანონპროექტზე ვერ შეთანხმდნენ, საარჩევნო და პროკურატურის საკითხები აღარც განიხილეს და უცებვე დაიშალნენ.

ტიმოშენკოს საკითხი პრეზიდენტ იანუკოვიჩისთვის პრინციპულია, მაგრამ არა იმდენად, რამდენადაც ოფიციალურ ქრონიკებში ჩანს. სამაგიეროდ, იგი მნიშვნელოვანია ევროკავშირის დემოკრატიული ქვეყნებისთვის. უკრაინელი ექსპერტები სინანულით აღნიშნავენ, რომ 28-29 ნოემბერს ვილნიუსის სამიტზე უკრაინის ასოცირების საკითხი მხოლოდ პოლონეთისა და ლიტვის გადასაწყვეტი რომ იყოს, საშიში არაფერი იქნებოდა. ეს კიევში მშვენივრად იციან.

ის ფაქტი, რომ რადამ კანონპროექტი ვერ მიიღო, ოფიციალურად ნიშნავს: კიევი უარს არ ამბობს ტიმოშენკოს საზღვარგარეთ მკურნალობაზე, უბრალოდ, კანონპროექტი ჯერ კიდევ დეპუტატების განხილვის საგანია. რადგანაც ევროკავშირის მოთხოვნით, ეს საკითხი სამიტამდე უნდა გადაწყდეს, დუმის ქმედება უხეშად შესრულებული დიპლომატიური ჟესტია, რათა ევროკავშირისგან სამიტზე უარი მიიღოს და თან თავი გაიმართლოს, რომ ეს კიევის კი არა, ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყნის ჭირვეულობის შედეგია.

იანუკოვიჩის ნაჩქარევი ვიზიტი მოსკოვში

გასულ შაბათს უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ ვიტორ იანუკოვიჩი სამუშაო ვიზიტით მოსკოვში გაემგზავრა. ეს სრულიად მოულოდნელი სიახლე აღმოჩნდა. წინასწარ ვიზიტის შესახებ არაფერი იყო ცნობილი. პუტინის პრესსამსახურმა უკრაინის პრეზიდენტის სტუმრობის შესახებ ცნობა მხოლოდ ორშაბათს დაადასტურა. პუტინის პრესმდივანი დმიტრი პესკოვი ორიოდე სიტყვით შეიფარგლა. მისი თქმით, იანუკოვიჩს მოსკოვში „ხანმოკლე ვიზიტი“ ჰქონდა, რა დროსაც პუტინთან ორი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური საკითხები განიხილა.

პარალელურად, რუსულ და უკრაინულ მედიაში აგორდა ცნობა, რომ 9 ნოემბერს „უკრაინამ რუსეთიდან ბუნებრივი აირის შესყიდვა შეწყვიტა“. ეს ამბავი მოულოდნელ სკანდალად იქცა, რადგან ბოლო დროს უკრაინულმა „ნეფტოგაზმა“ აგვისტო-ოქტომბრის დავალიანების გადახდა დაიწყო. 30 ოქტომბერს „ნეფტოგაზმა“ „გაზპრომს“ 50 მილიონი დოლარი გადაურიცხა, 31-ში — 9 მილიონი, 1 ნოემბერს — 10 და 4-ში კი — 6 მილიონზე მეტი. ეს რაღა თქმა უნდა, რუსეთისადმი უკრაინის ვალებთან შედარებით, ზღვაში წვეთია, მაგრამ უკრაინის ენერგეტიკის მინისტრის თქმით, კიევი აგვისტოსა და ოქტომბერში დაგროვილ გაზის საფასურს უმოკლეს ვადაში დაფარავს.

საინტერესოა, რომ „ნეფტოგაზის“ „გაზპრომისადმი“ ვალის ოდენობა, ტრადიციულად, ბურუსითაა მოცული. ოქტომბრის ბოლოს რუსულმა მხარემ განაცხადა, რომ უკრაინელებს მათი 880 მილიონი დოლარი მართებთ, შემდეგ კი ეს ციფრი 1,3 მილიარდამდე გაიზარდა და თან ამ თანხის ჩარიცხვას „გაზპრომი“ 7 ნოემბერს მოითხოვდა.

„გაზპრომისათვის“ ვალების დაფარვა-ვერდაფარვისა და იანუკოვიჩის მოსკოვში საიდუმლო და ნაჩქარევი ვიზიტის შესახებ ცნობების შერწყმით ჩნდება ეჭვი, რომ სინამდვილეში, ან რუსეთმა შეუწყვიტა უკრაინას გაზის მიწოდება, ან „ნეფტოგაზი“ აიძულა, იმპორტზე უარი ეთქვა. ამით შეშფოთებული იანუკოვიჩი კი სასწრაფოდ ეწვია პუტინს. მას სხვა გამოსავალი არ დარჩა, რადგან რუსული გაზის გარეშე დარჩენილი უკრაინა დღეს ევროპისთვის გამიზნულ ზამთრის მარაგებს მოიხმარს. ეს კი მალე დიდ პრობლემად იქცევა.

„საგარეო საქმეთა სამინისტროს მივმართე მოთხოვნით, შეგვატყობინოს, რას აკეთებს სახელმწიფოს მეთაური რუსეთში. თუ საქმე სხვა ქვეყნის პრეზიდენტთან საიდუმლო მოლაპარაკებებს ეხება, ეს იმპიჩმენტის პირდაპირი საფუძველია, რადგან ამ შემთხვევაში, სახელმწიფო ღალატთან გვაქვს საქმე“, — განაცხადა ორშაბათს რადის ოპოზიციური ფრაქციის „ბატკოვშჩინას“ თავმჯდომარე იაცემიუკმა. ოპოზიციის შიში გასულ ოთხშაბათს ახდა.

ბრძოლა ევრაზიული კავშირისთვის და მის წინააღმდეგ

იანუკოვიჩი პრეზიდენტობის პირველი დღიდან მერყევი და არათანმიმდევრული მეთაურის შთაბეჭდილებას ტოვებს. იგი თავიდან პრორუსულ პოლიტიკოსად მოიაზრებოდა. მართლაც, მისი პრეზიდენტობის დროს უკრაინამ უარი თქვა ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივაზე. 2012 წლის ბოლოს კი, მან განაცხადა, რომ მხარს უჭერს პუტინის იდეას და უკრაინა ევრაზიული თანამეგობრობის საბაჟო კავშირთან მიერთებას ემხრობა. 2013 წლის ზაფხულში მან ევროკავშირთან დაახლოებასა და მასთან ასოცირებული წევრობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებას დაუჭირა მხარი, შემდეგ განაცხადა, რომ უკრაინა საბაჟო კავშირში უნდა გაწევრიანდეს, ოღონდ ისე, რომ ევროკავშირთან დაახლოებას არ შეექმნას საფრთხე.

ამის საპასუხოდ, ევროკავშირის მაღალი თანამდებობის პირებმა და რუსეთის პრეზიდენტმა ერთხმად განაცხადეს, რომ უკრაინამ არჩევანი უნდა გააკეთოს: ან ევროკავშირთან ასოცირებული წევრობა და ევროპასთან დაახლოება, ან რუსეთსა და მის მოკავშირეებთან ერთად საბაჟო კავშირში შესვლა და ევრაზიული კავშირის ფორმირება.

28-29 ნოემბერს ვილნიუსში „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ ქვეყნების სამიტზე უკრაინასა და საქართველოსთან ერთად მოლდოვის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და ბელორუსის დელეგაციები ჩავლენ. მას შემდეგ, რაც სექტემბრის დასაწყისში რუსული გზის გაძვირების პერსპექტივით შეშინებულმა სომხეთის პრეზიდენტმა თავისი ქვეყნის საბაჟო კავშირში გაწევრიანების სურვილი გამოთქვა, ევროკავშირმა ერევანს კარი მოუხურა. ნოემბერში სომხეთთან არანაირი ხელშეკრულება არ გაფორმდება. აზერბაიჯანი სავიზო რეჟიმის გამარტივებას ელის, საქართველო და აზერბაიჯანი კი — ასოცირების პარაფირებას. ამას ერთ წელიწადში ასოცირების ძალაში შესვლა უნდა მოჰყვეს.

ევროკავშირთან ურთიერთობების ამ დონეზე აწევა საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინისთვის სავიზო რეჟიმის გამარტივების გარდა, ენერგოუსაფრთხოების ამაღლებასა და ევროპასთან სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებას ნიშნავს.

ოფიციალური მოსკოვი არ მალავს, რომ ევროკავშირის პოსტსაბჭოთა სივრცეში შემოჭრას მისი ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯად აღიქვამს, რადგან ევროპასთან ეკონომიკური და პოლიტიკური დაახლოება რუსეთთან დაშორების პროპორციულია. თავის მხრივ, ევროკავშირს ღარიბი და ნაკლებადდემოკრატიული პოსტსაბჭოთა ქვეყნების რუსეთისთვის ჩამოშორება მოსკოვის მზარდი ამბიციების მოსათოკად და ევრაზიული კავშირის შექმნის იდეის დასამარებისთვის სჭირდება.

ამ ეტაპზე, რუსეთმა ისევ შეძლო თავისი სტრატეგიული ამოცანის შესრულება. მან სექტემბრის დასაწყისში კინაღამ ევროპისკენ გამძვრალი სომხეთი შემოაბრუნა, 13 ნოემბერს უკრაინის ევროკავშირისკენ სწრაფვა მინიმუმ 1-2 წლით შეაფერხა, თუმცა უკრაინაში ოპოზიცია მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ სინამდვილეში, იანუკოვიჩს ევროკავშირთან ასოცირებული წევრობის ხელშეკრულების გაფორმება არც არასოდეს უნდოდა და მის მიერ ბოლო დროს წარმოებული პოლიტიკა მხოლოდ და მხოლოდ, მოსკოვთან ვაჭრობისთვის დადგმული სპექტაკლი იყო.

თუმცა ევროკავშირში იმედი ბოლომდე მაინც არ გადაუწურავთ. 19 ნოემბერს უკრაინის რადამ სადავო კანონპროექტები ხელახლა უნდა განიხილოს ანუ კიდევ არის რამდენიმე დღე, რათა ევროპამ კიევის დაყოლიება შეძლოს. იქნებ, ამჯერად, 1 მილიარდის ნაცვლად, უკრაინას მეტსაც შეპირდნენ: იმდენს მაინც, რომ მიმდინარე და გადაულახავი ფინანსური პრობლემები მოაგვაროს. აკი, კიევს არა მარტო ევროკავშირმა, არამედ ვაშინგტონმაც არაერთხელ ამცნო, რომ ევროპასთან მისი დაახლოების გზაზე მას ყველანაირად დაეხმარებიან.

ვერსიანიუსი

ჯაბა სამუშია გიგი უგულავას „სითი პარკთან“ გარიგებაში ადანაშაულებს

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ჯაბა სამუშია დედაქალაქის მერს გიგი უგულავას მოუწოდებს, ჯარიმების დაწევაზე „სითი პარკთან“ მოლაპარაკებები დაიწყოს.

„სითი პარკი“ ყოველწლიურად მარტო 10-ლარიანი ჯარიმებიდან 4 მილიონ ლარს იღებს, მანქანების საჯარიმო სადგომზე გადყვანისთვის 70-ლარიანი ჯარიმით თითქმის 3 მილიონამდე, 50-ლარიანი შენატანიდან კი, კომპანიის შემოსავალი დაახლოებით 20 მილიონს შეადგენს. ეს თანხები კომპანიაში შედის, რომელმაც მხოლოდ მიზერული თანხის ინვესტიცია განახორციელა. იმის გათვალისწინებით, რომ ჯარიმებისა და შემოსული თანხების გარკვეული რაოდენობა ქალაქის ბიუჯეტში მიდის, მოვუწოდებ თბილისის მერს, აღნიშნული ჯარიმების შემცირებაზე „სითი პარკთან“ სასწრაფოდ დაიწყოს მოლაპარაკება“, — განაცხადა სამუშიამ.

მისივე თქმით, თბილისის საკრებულომ „სითი პარკის“ საქმიანობასთან დაკავშირებით მოკვლევა დაიწყო, თუმცა მერია ცდილობს, საკრებულოს დოკუმენტები არ მიაწოდოს: **„ეს გვაფიქრებინებს, რომ საქმე გაქვს საკმაოდ მძიმე გარიგებასთან, რომელიც თბილისის მერიასა და „სითი პარკს“ შორის შედგა. შეიძლება, საქმე შემოსავლების დაფარვასთან გვქონდეს“.**

„პირველი“

„კვალიფიკაციის ზრდა მუდმივი პროცესია..."

ახალი დირექტორის ახალი გეგმები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ბიუროს ყოფილი უფროსი ლაშა მაღრაძე ცოტა ხნის წინათ იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექტორად დაინიშნა.

საინტერესო და მრავალფეროვანი სარეფორმო გეგმა შევიმუშავეთ, ჩვენ ეტაპობრივად დავიწყებთ პრიორიტეტულ მიმართულებებზე მუშაობას და ვფიქრობ, წარმატებით დავასრულებთ," *- აცხადებს იუსტიციის უმაღლესი სკოლის ახალი დირექტორი, რომელიც სკოლაში მოსალოდნელი სიახლეების შესახებ გვესაუბრება.*

- ბატონო ლაშა, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექტორად ცოტა ხნის წინათ დაინიშნეთ, საინტერესოა, თქვენი გეგმები, რა სიახლეების განხორციელებას გეგმავთ სკოლაში?

- რა თქმა უნდა, სიახლეების განხორციელებისათვის შევიმუშავეთ 2013-2014 წლების სპეციალური სამოქმედო გეგმა, სადაც დეტალურადაა განერილი ის ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები, რომელსაც რეფორმა უნდა შეეხოს. თითოეულ მათგანზე უკვე მომზადებულია კანონპროექტები. ჩვენ ეტაპობრივად დავიწყებთ ამ მიმართულებებზე მუშაობას და ვფიქრობ, წარმატებით დავასრულებთ.

- უფრო კონკრეტულად, რა ცვლილებები იგეგმება სკოლაში? ცნობილია, რომ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის მიხედვით, შესაძლოა შეიცვალოს სასწავლო პროცესის აქამდე არსებული წესი.

- სკოლაში სწავლების ვადის გაზრდა და უნიფიცირება ჩვენი გეგმის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებაა. ჩვენი მიზანია იუსტიციის უმაღლეს სკოლაში იუსტიციის მსმენელთა სწავლების ხანგრძლივობის შესახებ ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბება. ასევე, იუსტიციის მსმენელთა სწავლების გონივრული და უფრო ეფექტური ვადების შემოღება.

ვგეგმავთ, დღეს არსებულ მსმენელთა სხვადასხვა კატეგორიის ნაცვლად, იუსტიციის მსმენელთა ერთი კატეგორიის შემოღებას და მათთვის სწავლების ერთიანი ვადის დაწესებას.

10-თვიანი სასწავლო პროცესი გაიზრდება და გახდება 15-თვიანი. სასწავლო ვადის გაზრდა სხვადასხვა ობიექტურმა მიზეზებმა განაპირობა, მათ შორის, გავითვალისწინეთ საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებიც. მსგავსი პრაქტიკა ევროპის არა ერთ ქვეყანაში მოქმედებს და საკმაოდ წარმატებულად. ამიტომაც, გავითვალისწინეთ ევროპული გამოცდილება და სწავლის გაზრდილი ვადები ძირითადად, წარიმართება სტაჟირების კომპონენტის გაძლიერებაზე. თეორიული სწავლების შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება გაკეთდება მსმენელის პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე, რასაც გარკვეულწილად გაცილებით მეტი დრო დაეთმობა. სკოლის მსმენელი იურისტია, რომელსაც იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა აქვს წარმატებით ჩაბარებული, რაც ნამდვილად არ არის ადვილი, შესაბამისად, მსმენელი თეორიულად ძალზე კარგადაა მომზადებული და მას სჭირდება მოსამართლისათვის საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება-დახვეწა. სკოლის კურსდამთავრებული როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად, უნაკლოდ უნდა იყოს მომზადებული, რათა დაინიშნოს ისეთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, როგორიც მოსამართლეა.

- არსებობს მოსაზრება, რომ მოსამართლეობისთვის მხოლოდ სკოლის კურსის წარმატებით დასრულება საკმარისი არ არის და მოსამართლედ დანიშვნისას სხვა კრიტერიუმებიც უნდა იყოს გათვალისწინებული. საკმარისია თუ არა სკოლაში მიღებული განათლება პირის მოსამართლედ დანიშვნისათვის?

- როგორც აღვნიშნე სკოლის მსმენელი თეორიულად კარგად მომზადებული იურისტია, მას მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდები აქვს ჩაბარებული და გარდა თეორიული ცოდნისა, მსმენელის შერჩევა სხვა კრიტერიუმებითაც ხდება. მათ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში უტარდებათ გასაუბრება, რის შემდეგაც ისინი სკოლაში მსმენელებად ირიცხებიან.

სკოლაში რამდენიმეთვიანი თეორიული სწავლების კურსის შემდეგ მსმენელებს უტარდებათ სტაჟირება. მათ ევალებათ გადაწყვეტილებების, სხვადასხვა საპროცესო დოკუმენტების მომზადება, უკვე მიღებულ გადაწყვეტილებებზე თავიანთი მოსაზრებების ჩამოყალიბება, ასევე, იმიტირებული პროცესების ჩატარება. მსმენელებს ეძლევათ კაზუსი, რომელზეც ხშირ შემთხვევაში, ატარებენ იმიტირებულ პროცესს და თითოეული მსმენელი წერს სასამართლოს გადაწყვეტილებას აღნიშნულ საქმეზე. ამით იმის თქმა მინდა, რომ იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მსმენელები მოსამართლეებად ყალიბდებიან - მათი თეორიული ცოდნა უფრო მეტად იხვეწება და მოსამართლისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს იძენენ.

სწორედ იმიტომ, რომ გაუმჯობესდეს მსმენელთა მომზადების კურსი, სასწავლო პროცესი გახდება 15-თვიანი. სკოლის კურსდამთავრებულთა მოსამართლედ დანიშვნისას, გარდა თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევებისა, გათვალისწინებულია ყველა ის კრიტერიუმი, რაც მოსამართლეობისთვისაა საჭირო.

გარდა მოსამართლეებისა, სკოლაში მოსამართლის თანაშემწეები, სასამართლოს სხვა თანამშრომლებიც გადიან სასწავლო კურსს და თამამად ვიტყვი, რომ იუსტიციის უმაღლესი სკოლა მაღალკვალიფიციურ კადრს ამზადებს.

- ბატონო ლაშა, შეიცვლება თუ არა სკოლის საგამოცდო კომისიის შემადგენლობა და მუშაობის წესი?

- ჩვენი გეგმის ერთ-ერთი პრიორიტეტია იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამამთავრებელი გამოცდის საგამოცდო კომისიის ფორმირების ვადებისა და მუშაობის წესის დაზუსტება.

საგამოცდო კომისიის ფორმირების პროცესის გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით, მოხდება კომისიის ფორმირების ვადებისა და კომისიის მუშაობის ძირითადი წესების დადგენა.

მკაფიოდ განისაზღვრება საქართველოს უზენაესი სასამართლოს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ კომისიის წევრების წარმოდგენის ვადა. ასევე, კანონით დადგენილ ვადაში კომისიის წევრის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, კომისიის ფორმირების საკითხი. კანონით დადგინდება, საგამოცდო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების ძირითადი წესები.

- რა პრიორიტეტებია კიდევ სამოქმედო გეგმაში?

- გეგმის პრიორიტეტია ასევე, იუსტიციის უმაღლესი სკოლის მასწავლებელთა შერჩევის კრიტერიუმებისა და წესების ჩამოყალიბება. ამ საკითხზე აქტიურად ვმუშაობთ, მზადდება სკოლის წესდებაში შესატანი ცვლილებების პროექტი და დადგინდება ის კრიტერიუმები და წესები, რომლის მიხედვითაც, შეირჩევიან სკოლის მასწავლებლები.

ასევე, პრიორიტეტია იუსტიციის უმაღლესი სკოლის საჭიროებების ანალიზი. საუბარია, სტრუქტურული, პროცედურული (მაგალითად, სკოლაში ჩარიცხვისა და სწავლების პროცესი) და შინაარსობრივი (სასწავლო და გადამზადების პროგრამები), საკომუნიკაციო ნაკლოვანებების იდენტიფიცირებასა და ანალიზზე, რის შემდეგაც შევიმუშავებთ სტრატეგიული განვითარების დოკუმენტს, რომელიც სკოლის შემდგომი განვითარებისათვის ერთგვარი სახელმძღვანელო გახდება.

ამ მიმართულებებით მიმდინარეობს ევროპის საბჭოსთან მოლაპარაკება თანამშრომლობაზე და მათი მხრიდან ფინანსური დახმარების მოძიება. ოფიციალური მიმართვა უკვე გაგზავნილია სტრასბურგში და ველოდებით პასუხს.

ასევე, ჩვენი პრიორიტეტია სკოლის საქმიანობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის ხარისხის გაზრდა.

გვინდა, რომ სკოლის საქმიანობა უფრო მეტად გამჭვირვალე გახდეს და სკოლის შესახებ საზოგადოებას მივაწოდოთ დეტალური ინფორმაცია. ამისათვის ვგეგმავთ საჯარო ინფორმაციის გაცემის ელექტრონული სისტემის ჩამოყალიბებას. მიმდინარეობს სკოლის ახალი ვებგვერდის კონცეფციის დამუშავება და ძალიან მალე საზოგადოებას ახალ ვებგვერდს შევთავაზებთ, სადაც ოპერატიულად მიიღებენ ინფორმაციას სკოლის საქმიანობის შესახებ. ამ მიმართულებით მიმდინარეობს მოლაპარაკებები დონორებთან - USAID-სა და GIZ-თან და მათი დახმარებით სკოლის გამჭვირვალობის ხარისხი კიდევ უფრო გაიზრდება.

ასევე, ვგეგმავთ მსმენელთა პორტალის შექმნას. მოხდება სკოლაში სასწავლო პროცესის ელექტრონიზაცია და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა. აღნიშნული პორტალი უზრუნველყოფს მსმენელთა სკოლაში სწავლის სრული პროცესის ელექტრონულ ფორმატში გადაყვანას. მსმენელებს ექნებათ საკუთარი გვერდი, რომელიც აღიჭურვება სხვადასხვა ფუნქციით, მათ შორის: დავალებების მიღება-შესრულების, შეფასების მიღების, ბლოგის, ლექციათა განრიგისა და სხვა ფუნქციებით. ამავე სისტემაზე წვდომა ექნებათ მასწავლებლებს, სტაჟირების კოორდინატორებს და სემინარის ხელმძღვანელებს, რომელთაც საშუალება ექნებათ, ელექტრონულად მისცენ დავალება მსმენელებს და ასევე, შეაფასონ შესრულებული დავალებები. აღნიშნული პორტალი ითვალისწინებს თეორიული და დამამთავრებელი გამოცდების პროგრამულ ჩაბარებასაც.

ასევე, სურვილი გვაქვს შევქმნათ მოსამართლეთა და სასამართლოს თანამშრომელთა პორტალი, რომლის მიზანიცაა გადამზადების პროგრამების შემუშავებაში მოქმედ მოსამართლეთა ელექტრონული ფორმით ჩართულობის წახალისება, აგრეთვე გადამზადების აქტივობებში მათი მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა.

მოსამართლეები და სასამართლოს თანამშრომლები შექმნიან პირად გვერდს, რომლის საშუალებითაც ისინი შეძლებენ მონაწილეობა მიიღონ განგრძობადი კურიკულუმის შემუშავებაში, იხილონ დამტკიცებული პროგრამა მათ გვერდზე, ონლაინ დარეგისტრირდნენ ტრენინგზე, მიიღონ ტრენინგზე დასწრების შეხსენების შეტყობინება და ელექტრონულად შეაფასონ გავლილი ტრენინგი. ამ პორტალის შექმნით კიდევ უფრო გამარტივდება სკოლასთან მოსამართლეებისა და სასამართლოს სხვა თანამშრომელთა ურთიერთობა. მაგალითად, ტრენინგზე დასარეგისტრირებლად მათ აღარ დასჭირდებათ დროის დაკარგვა - ონლაინ რეჟიმში განახორციელებენ მათთვის საჭირო ქმედებას.

სკოლისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტად კვლავ რჩება მოქმედ მოსამართლეთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა. სხვათა შორის, ამ მხრივ საკმაოდ სერიოზული სისტემა გვაქვს შექმნილი.

ჩვენი გეგმის მთავარი პრიორიტეტია იუსტიციის უმაღლეს სკოლაში გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და მასში მონაწილეობის პროცედურების დახვეწა. გვინდა, რომ მოქმედ მოსამართლეთა გადამზადების პროგრამების შემუშავების პროცესში მოსამართლეების ჩართულობა კიდევ უფრო გაიზრდოს.

ყველა მოქმედ მოსამართლეს შეესაძლებლობა მიეცემა სკოლას რეკომენდაციები წარუდგინოს, რითაც უშუალოდ მიიღებს მონაწილეობას გადამზადების პროგრამის შედგენაში.

გარდა ამისა, მოქმედ მოსამართლეს შესაძლებლობა მიეცემა, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, საკუთარი შეხედულებისამებრ მიიღოს მონაწილეობა სკოლის გადამზადების ღონისძიებებში. ანუ, ნებისმიერ მოსამართლეს ექნება საშუალება მისი სურვილის მიხედვით, გაიაროს ტრენინგი მისთვის სასურველ საკითხზე. ერთადერთი შემთხვევა, როცა მოსამართლეს შეიძლება უარი ეთქვას - არის მისი დაგვიანებული განაცხადი ტრენინგში მონაწილეობაზე.

მოსამართლის კვალიფიკაცია სისტემატურად უნდა იზრდებოდეს, სხვანაირად ის ვერ იქნება პროფესიონალი. მოსამართლის გადაწყვეტილება იმდენად დასაბუთებული უნდა იყოს, რომ მას ნაკლი ვერავინ მოუძებნოს. როცა მოსამართლე პროფესიონალია, აქვს მაღალი კვალიფიკაცია - მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება მაღალი ხარისხის იქნება და პრეტენზიებიც უსაფუძვლო. ამიტომაც, კვლავ ძალზე აქტიურად ვიმუშავებთ ამ მიმართულებით. ეს ძალზე მნიშვნელოვანი დეტალი სასამართლოს გამართულად მუშაობას განაპირობებს.

- მოსამართლის გადაწყვეტილების დასაბუთებულობის დაბალი ხარისხი ბოლო პერიოდში განსაკუთრებული კრიტიკის ობიექტი იყო.

- როგორც გითხარით, მომავალი წლის პრიორიტეტად რჩება მოსამართლეთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა. კვალიფიკაციის ზრდა მუდმივი პროცესია. არ შეიძლება ადამიანმა, მით უმეტეს, მოსამართლემ ჩათვალოს, რომ ერთხელ გავლილი მოსამზადებელი კურსი მისი სრულყოფისათვის, წლების მანძილზე საქმიანობისათვის და მაღალი ხარისხის გადაწყვეტილებების მისაღებად საკმარისია. ბოლო წლების მანძილზე, სასამართლო სისტემა, კანონმდებლობა მუდმივ ცვლილებებს განიცდის, რასაც მოსამართლემ ფეხი უნდა აუწყოს და ცვლილებების შესაბამისად, მუდმივად უნდა ვითარდებოდეს.

მოსამართლის კვალიფიკაცია ძალზე კარგად ჩანს გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის ხარისხში. ჩვენ გვყავს ბევრი მაღალკვალიფიციური მოსამართლე, რომელთა გადაწყვეტილებების ხარისხი მაღალია. მოსამართლის კვალიფიკაციის ზრდა და მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა სასამართლოს იმიჯთან პირდაპირ კავშირშია და როგორც აღვნიშნე, ამ მიმართულებითაც კვლავ აქტიურად ვმუშაობთ.

ასევე, კვლავ ვიზრუნებთ მოსამართლეებისთვის კომუნიკაციის სტანდარტების სწავლებაზე. გვაქვს სპეციალური კურსი, სადაც მოსამართლეები ეცნობიან, თუ როგორ უნდა განახორციელონ სამოსამართლო საქმიანობა დარბაზთან კომუნიკაციის წესების დაცვით.

- ხომ არ არის მოსალოდნელი იუსტიციის უმაღლესი სკოლის არსებული მოდელის შეცვლა? მისი ფუნქციების გამსხვილება ან პირიქით?

- ჩვენ ვისაუბრეთ ცვლილებებზე, რომელიც განხორციელდება სკოლაში, ამას გარდა, ვგეგმავთ, იუსტიციის უმაღლესი სკოლის სტრუქტურის სრულყოფას და სკოლის საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდას. შეიქმნა სკოლის ახალი სტრუქტურა, რომლის მიხედვითაც, სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციები მკაფიოდ და ახლებურად გადანაწილდა.

ვფიქრობთ, შესაძლებელია სკოლის სერვისების პოპულარიზაციით გაიზარდოს სკოლის მომხმარებელთა სეგმენტი. მაგალითად, შევიმუშაოთ ტრენინგები პროკურორებისათვის, ადვოკატებისათვის, ნოტარიუსებისათვის, აღმასრულებლებისათვის, ზოგადად, იურიდიული პროფესიის ადამიანებისათვის. ვფიქრობთ, მათთვის სხვადასხვა ონლაინ კურსის შექმნას. საერთოდ, საინტერესო და მრავალფეროვანი გეგმა შევიმუშავეთ, სარეფორმო სიახლეებიც მრავლად გვაქვს, თუმცა, სკოლის მოდელის შეცვლა ჯერჯერობით, ნამდვილად არ იგეგმება, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ უახლოეს მომავალში სკოლა შეიცვლის მდებარეობას - ახალ შენობაში გადავდივართ.

პროექტს ახორციელებს "საზოგადოებრივ ინიციატივათა ჯგუფი"
ელ-ფოსტა: samartalis3@gmail.com

როგორ ცდილობდნენ მიხეილ სააკაშვილი, კახა ბენდუქიძე და გიორგი არველაძე წყლის ბიზნესის „დათრევას“

მაია მიშელაძე
593-51-90-12



საქართველოს ერთადერთი კონკურენტუნარიანი ბუნებრივი რესურსი წყალია. ქართველი მეცნიერები დიდი ხანია მუშაობენ პროექტზე, რომლითაც ქართული წყალი მსოფლიო ბაზარზე გავა, საქართველო კი წყლის მიმწოდებელ დონორ ქვეყნად ჩამოყალიბდება. პროექტი, რომელსაც წელიწადში, მინიმუმ, 12 მილიარდი აშშ დოლარის მოგება ექნება, დასრულებულია, მალე პროექტის ამერიკელი პარტნიორები საქართველოში ჩამოვლენ და პირველ ტრანშსაც გადმორიცხავენ. საბოლოოდ, საქართველოს მასშტაბით, 200 ქარხნის აშენება იგეგმება, სადაც ჭაბურღილების საშუალებით, წყალს ჩამოასხამენ, პოლიეთილენის ბოთლებში დააფასოებენ, პროდუქციას საბოლოო სახეს მისცემენ და მსოფლიო ბაზრებზე სარეალიზაციოდ გაიტანენ. ამერიკელების პარტნიორობა ქართული წყლის საერთაშორისო ბაზარზე რეალიზაციაში გამოიხატება, რომლებიც მზად არიან, 1 ლიტრ წყალში მსოფლიო ბაზრის შესაბამისი ფასი გადაიხადონ. „ვერსიას“ ქართული წყლის პროექტის ერთ-ერთი ავტორი, ინოვაციებისა და მარკეტინგის ექსპერტი ზაალ ჟვანია ესაუბრება.

— მსოფლიოში 4 მილიარდი ადამიანი სასმელი წყლის მწვავე კრიზისს განიცდის, უხარისხო წყლის მიღების გამო კი, წელიწადში, დაახლოებით, 270 000 000 ადამიანი იღუპება. მსოფლიოში წყლის ექსპორტიორი ძირითადი ქვეყნები იტალია, საფრანგეთი და ნორვეგიაა, მაგრამ მათი სიმძლავრე იმდენად მცირეა, რომ მსოფლიოს წყალი მხოლოდ 45 დღე ეყოფა, შესაბამისად, მსოფლიო მასშტაბით მძიმე მდგომარეობაა. ქართველი მეცნიერები, პაატა გიორგაძისა და პაატა ცნობილაძის ხელმძღვანელობით, დიდი ხნის განმავლობაში ქართული წყლის პროექტზე მუშაობდნენ და კვლევას აწარმოებდნენ. სხვათა შორის, ამ პროექტის მითვისებას კახა ბენდუქიძე, გიორგი არველაძე და მიხეილ სააკაშვილი ცდილობდნენ, რის გამოც პაატა გიორგაძე ხან კოჯრის ტყეში გაიყვანეს და საშინლად სცემეს, რომ პროექტი დაეთმო, ხან ე.წ. მოდულის შენობაში პროექტის დათმობას ზეწოლით აიძულებდნენ. ბოლოს, პროექტის სანაცვლოდ, 20 000 000 აშშ დოლარი შესთავაზეს და, ოჯახთან ერთად, საზღვარგარეთ საცხოვრებლად წასვლას აიძულებდნენ. მიუხედავად ამისა, პაატა გიორგაძე ვერ დაითანხმეს... მას შემდეგ, რაც ქვეყანაში პოლიტიკური ვითარება დალაგდა, ახალი ხელისუფლება წყლის პროექტით სერიოზულად დაინტერესდა. ამერიკელი პარტნიორებიც მოვიძიეთ, რომლებიც მსოფლიო ფასის შესაბამისად, 1 ლიტრ წყალში, 22 თეთრს გადაგვიხდიან.

— ბატონო ზაალ, ამბობთ, რომ წყლის ძირითად ექსპორტიორ ქვეყნებს შესაბამისი სიმძლავრე არ ჰყოფნით, საქართველოს წყლის საკმარისი მარაგი აქვს?

— ამ მხრივ საქართველოს პრობლემა ნამდვილად არ აქვს. ჩვენ მიწისქვეშა გრუნტის წყალი უნდა ჩამოვასხათ, რაც ქვეყნის მთლიანი სიმძლავრის მხოლოდ 0.75%-ია ანუ წელიწადში, დაახლოებით, 50 000 000 ტონაა. საქართველოში 2 888 ჭაბურღილია, აქედან 1 700 მუშაობს, რაც ამ პროექტისთვის სრულიად საკმარისია. რეალურად, მხოლოდ 200 ქარხანა უნდა ავაშენოთ ანუ თითო ჭაბურღილზე თითო ქარხანა აშენდება. საქართველოს სამრეწველო პოტენციალი წამში 301 კუბური მეტრია, ამ პროექტს კი წამში მხოლოდ 2.5 კუბური მეტრი სჭირდება. შესაბამისად, ჩვენს ქვეყანაში წყლის დიდი და განახლებადი მარაგია. 200 ქარხანა იმიტომ უნდა აშენდეს, რომ საქართველოს ყველა რაიონში 2 ქარხანა მაინც იყოს, რათა ხალხი დასაქმდეს, წელში გაიმართოს და მცირე მეწარმეობა განვითარდეს. როდესაც ეს პროექტი ამუშავდება, სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ყოველდღიურად მხოლოდ 1 750 000 ეტიკეტი დაიბეჭდება. რაც მთავარია, ინვესტორი პორტ-ტერმინალის მშენებლობაში 700 000 000 აშშ დოლარის ჩადებას აპირებს, მეტიც — გვინდა, ფოთისა და ბათუმის პორტის გამტარუნარიანობაც გაიზარდოს. დღეს ფოთის პორტს მხოლოდ 5 000 000 ტონა ტვირთის გატარება შეუძლია, რაც ქართული წყლის ექსპორტისთვის საკმარისი არაა და შესაბამისად, ინვესტორს პორტტერმინალის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაც გათვალისწინებული აქვს. ეს სამუშაოები, დაახლოებით, 2-3 წელიწადში დასრულდება და, შესაბამისად, ქვეყანაში 2 100 000 000 აშშ დოლარი შემოვა.

„ვერსია“ ქართული წყლის პროექტის კიდევ ერთ ავტორს, მსოფლიო იურისტთა ასოციაციის პირველ ვიცე-პრეზიდენტს, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს პაატა ცნობილაძესაც ესაუბრა.

— ბატონო პაატა, მსოფლიო ბაზარზე იტალიური, ფრანგული და ნორვეგიული წყლის, ასე ვთქვათ, ჩაჩოჩება არ გაგიჭირდებათ?

— არა, რადგან წყალზე, სხვა პროდუქტისგან განსხვავებით, ყველაზე მეტი მოთხოვნაა, თუმცა საქართველოს, რა თქმა უნდა, თავისი მომარაგების ლიმიტი ექნება... მსოფლიოს მოსახლეობის მესამედი, პრაქტიკულად, წყლის მკაცრი დეფიციტის პირობებშია, 7 მილიარდი მოსახლიდან 1.5-მა მილიარდმა საერთოდ არ იცის, წყალი რა არის. წყალი რომ ექსპორტზე გაიტანოთ, მსოფლიო ბაზარზე შეხვიდეთ ან გაერო-ს პროგრამებში მიიღოთ მონაწილეობა, წყლის მიწოდებით ჯერ საკუთარი ქვეყნის მოსახლეობა უნდა დააკმაყოფილოთ, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ქვეყანას წყლის მომარაგებისა და მიწოდების ინფრასტრუქტურა არ აქვს, გაერო-ს პროგრამებში მონაწილეობას ვერ მიიღებს. არადა, საქართველოში, სადაც წყლის საკმარისი მარაგია, ქუთაისის, კახეთისა და სხვა რაიონების მოსახლეობას წყალი არ აქვს. ამ ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას ანუ საქართველოს მოსახლეობის წყლით დაკმაყოფილებას 7-8 მილიარდი აშშ დოლარი სჭირდება, რაც სახელმწიფოს არ გააჩნია. ქართული წყლის პროექტი ერთადერთი რეალური გარანტიაა, რომ სახელმწიფოში იმ რაოდენობის ფულადი სახსრები შემოვიტანოთ, რაც ქვეყანას საშუალებას მისცემს, ყველა მიმართულებით განვითარდეს. ორი წლის შემდეგ, როდესაც ქვეყანაში 200 ქარხანა აშენდება, საქართველო, პრაქტიკულად, წყლის მწარმოებელი და მსოფლიოში ერთ-ერთი მიმწოდებელი, დონორი ქვეყანა გახდება. სამი წლის შემდეგ კი ეს პროექტი 12 მილიარდი აშშ დოლარის მოგებას მოგვცემს, საიდანაც სახელმწიფო ბიუჯეტში, გადასახადის სახით, 3 მილიარდი აშშ დოლარი შევა, დარჩენილი 9 მილიარდი აშშ დოლარი კი ეკონომიკის სხვადასხვა დარგის განვითარებას, ასევე საგარეო და საშინაო ვალის გასტუმრებას მოხმარდება.

ზაალ ჟვანია: — საბოლოო ჯამში, ქართული წყლის პროექტი საქართველოში წყლის ფასსაც დაარეგულირებს. მაგალითად, კუვეიტში, რომელიც ნავთობმომპოვებელი ქვეყანაა, საწვავს სიმბოლური ფასი აქვს. ქართული წყლის პროექტი რომ ამუშავდება, დარწმუნებული ვარ, წყლის გადასახადის შემცირების საკითხსაც მიეხედავთ. გაერო-ს 2002 წლის მიმართვაში წერია, რომ ყველა ქვეყანა წყლით უნდა იყოს დაკმაყოფილებული, წყალი თითოეულ თემამდე, სოფლამდე, მოქალაქემდე უნდა მივიდეს, რადგან ეს სიცოცხლისთვის აუცილებელი ბუნებრივი რესურსია. არადა, მსოფლიოში წყლის მიწოდების მხრივ, უმკაცრესი დეფიციტია. ევროპასა და არაბეთის გაერთიანებულ საამიროებს თავი რომ დავანებოთ, დსთ-ს სივრცეში, რუსეთში, უკრაინასა და ბელორუსში წყლის დეფიციტია.

— ბატონო ზაალ, ამ პროექტთან დაკავშირებით ხელისუფლების მხარდაჭერა რაში გამოიხატება?

— ქართული წყლის პროექტთან დაკავშირებით დროებითი სახელმწიფო კომისია შეიქმნება, რათა ყველა სამინისტრომ კოორდინირებულად იმუშაოს. ნებისმიერ შემთხვევაში, წყლის ნაციონალიზაციის საკითხი დადგება, რასაც აუცილებლად ტყის ნაციონალიზაციაც მოჰყვება და ხელისუფლების დახმარება აქაც დაგვჭირდება. იკითხავთ, ტყე რა შუაშიაო, არადა წყლის განახლებადი წყარო სწორედ ტყეა — ყველაზე მეტ წყალს აქედან ვიღებთ. თუ საქართველოში ტყეს შევინარჩუნებთ, გლობალური დათბობა ვერაფერს დაგვაკლებს. დათბობის შედეგად, მყინვარები სულ რომ გაქრეს, წყლის განახლებას ეს ზიანს ვერ მოუტანს, რადგან მყინვარიდან წყლის მარაგი მხოლოდ 1%-ია, ტყიდან კი — 47%. ქვეყანაში სტრატეგიული ობიექტების ცნება საერთოდ აღარ არსებობს, რასაც აუცილებლად უნდა გადავხედოთ — წყალი და ტყე სტრატეგიული დანიშნულების ბუნებრივ რესურსად უნდა იქცეს.

— ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის პარალელურად, მთავრობაში აქტიურად განიხილებოდა პროექტი, რომლითაც წყალი მილსადენით ჯერ თურქეთში უნდა გაეტანათ, შემდეგ კი მთელ მსოფლიოში...

— რამდენიმე აკადემიკოსი, ანგარების მიზნით, ქართული წყლის თურქეთში მილით გატანის საკითხს მხარს უჭერდა, მაგრამ ვიბრძოლეთ და ჩვენი პროექტი შევინარჩუნეთ. საქართველოდან თურქეთში წყალსადენის გაყვანა კი ძალიან დიდი სისულელეა, რადგან 1 ლიტრ წყალზე მხოლოდ 1-დან 5 ცენტამდე დაგვრჩებოდა. გარდა ამისა, უდიდესი შემოსავალი, რაც ქვეყანამ წყლის ექსპორტის შედეგად უნდა მიიღოს, თურქეთს რატომ უნდა დარჩეს? არ მესმის, რატომ უნდა დაეკარგა საქართველოს მინიმუმ 12 მილიარდი აშშ დოლარის შემოსავალი და რატომ უნდა დაგვეთმო ჩვენი პროექტი? ყველაზე მთავარი, რის გამოც წყლის მილსადენის პროექტი ვერ და არ განხორციელდებოდა, ჭაბურღილიდან ამოღებული წყალია, რომელიც თვისებებს მხოლოდ 80 კილომეტრის რადიუსში ინარჩუნებს, შემდეგ კი უბრალოდ კვდება.

ვერსიანიუსი

აშშ საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავებაში დაეხმარება

საქართველოს ენერგეტიკის სექტორის მხარდაჭერის მიზნით, აშშ-ს მთავრობამ USAID-ის ახალი, „ჰიდროგენერაციისა და ენერგეტიკის დაგეგმვის პროექტი“ — HPEP წამოიწყო.

USAID-ის ცნობით, ახალი პროექტის მიზანია, მთავრობას „საქართველოს ჰიდროენერგეტიკული ბაზრის მოდელი 2015“ (GEMM 2015)-ის დანერგვაში, ასევე ეროვნული ენერგეტიკული პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავებაში დაეხმაროს. გარდა ამისა, HPEP ხელს შეუწყობს ქვეყნის ენერგეტიკის რეგიონულ და საერთაშორისო ვაჭრობაში ჩაბმას, ენერგეტიკულ დამოუკიდებლობასა და სტაბილურობას, ასევე სტრატეგიულად მეტად მნიშვნელოვანი რეგიონის უსაფრთხოებას.

პროექტის პრეზენტაცია სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ გაიმართა, რომელსაც ენერგეტიკის სამინისტროს USAID-ის ხელმძღვანელობა, სხვა დონორი ორგანიზაციების, ასევე ენერგეტიკის სექტორში მომუშავე ქართული და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ.

BPN

საპარტნიორო ფონდი ინვესტორებს ყაზახეთში ეძებს

საპარტნიორო ფონდის დელეგაცია ყაზახეთში იმყოფება. ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, ფონდის აღმასრულებელი დირექტორი ირაკლი კოვზანაძე ყაზახეთის ოფიციალური და ბიზნესწრეების წარმომადგენლებს შეხვდება. შეხვედრები დაგეგმილია ყაზახეთის საინვესტიციო ფონდშიც.

ამ ეტაპზე, ქართული ფონდი, შუააზიელ ინვესტორებთან ერთობლივ ინფრასტრუქტურულ პროექტს ლიკანში ახორციელებს, რომელიც „რიქსოსის“ ხუთვარსკვლავიანი მრავალფუნქციური სასტუმროს მშენებლობას ითვალისწინებს. აღნიშნული პროექტის მთლიანი საინვესტიციო ღირებულება 40 000 000 აშშ დოლარია.

საპარტნიორო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციით, ყაზახური ბიზნესწრეების წარმომადგენლები სერიოზულად არიან დაინტერესებულები, საპარტნიორო ფონდთან ითანამშრომლონ და საქართველოში ინვესტიციები განახორციელონ.

BPN

„საქართველოს ბანკმა“ მცირე და საშუალო ბიზნესის დასაფინანსებლად 10 მილიონი აშშ დოლარი მიიღო

ბანკი, Citi-სა და OPIC-თან ერთად, საქართველოში მიკროდაფინანსების ზრდას უწყობს ხელს

„საქართველოს ბანკი“ Citi-სა და „საზღვარგარეთულ კერძო საინვესტიციო კორპორაციასთან“ (OPIC) ერთად, საქართველოში მიკრო და მცირე ბიზნესს კიდევ განავითარებს. ამის შესაძლებლობა, საქართველოს წამყვან ბანკს მას შემდეგ უფრო მეტად მიეცა, რაც Citi-სა და OPIC-ისგან 10 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის დაფინანსება მიიღო. სესხი მთლიანად იქნება მიმართული „საქართველოს ბანკის“ მიკროსესხების პორტფელის ზრდაზე და დააფინანსებს ჩვენს ქვეყანაში მიკრო და მცირე ბიზნესის მფლობელებს.

10 მილიონი აშშ დოლარი, Citi-სა და OPIC-ის მიერ, საქართველოში მიკროსესხების დაკრედიტებისთვის გამოყოფილი პირველი დაფინანსებაა. ეს თანხა ამ ორი ორგანიზაციის ერთობლივი გლობალური ინიციატივის — განვითარებად ბაზრებზე მიკროდაფინანსების მხარდაჭერის ნაწილია.

სამმხრივი შეთანხმების ამსახველ დოკუმენტს მხარეებმა ხელი „საქართველოს ბანკის“ სათავო ოფისში, ჟურნალისტების თანდასწრებით მოაწერეს და იმაზეც ისაუბრეს, რომ დამატებითი დაფინანსება, ზოგადად, საქართველოს ეკონომიკასაც განავითარებს და ქვეყანაში დამატებით სამუშაო ადგილებსაც შექმნის.

„საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის, **ირაკლი გილაურის** თქმით, მიღებული დაფინანსების დამსახურებით, ბანკის მიკრომსესხებლების რიცხვი საკმაოდ გაიზრდება: **„მადლობა Citi-სა და OPIC-ის წარმომადგენლებს, რომლებმაც დაფინანსება გამოგვიყვეს. მათთან დიდი ხანია ვთანამშრომლობთ და ჯამში, დაახლოებით, 200 მილიონ დოლარამდე თანხა გვაქვს მიღებული. ეს ურთიერთობა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. დღეს ჩვენს ბანკს 100 ათასზე მეტი მიკრომსესხებელი ჰყავს და შესაბამისად, 100 ათასზე მეტ ოჯახს აქვს განვითარების შესაძლებლობა. ამ 10 მილიონი დოლარის საშუალებით, მეტი სესხის გაცემას მოვახერხებთ, ჯამში, კონკრეტულად ამ სექტორზე, 450 მილიონ ლარზე მეტი მოცულობის სესხი გვაქვს გაცემული. „საქართველოს ბანკი“ ყველაზე დიდი კომპანიაა, რომელიც აფინანსებს მიკრო და მცირე ბიზნესს. ახლადმიღებული დაფინანსება ხელს შეუწყობს ბანკს, მეტად დაუჭიროს მხარი მცირე ბიზნესის განვითარებას, რაც მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის“.**

Citi-ს აღმასრულებელი დირექტორის (ხაზინისა და ვაჭრობის მომსახურება თურქეთში, ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში) **ბარის ტეცკანი** თქმით, გლობალური ბანკი, „საქართველოს ბანკთან“ მრავალწლიანი თანამშრომლობით კმაყოფილია: **„მოხარულები ვართ „საქართველოს ბანკთან“ პარტნიორობით. Citi OPIC-თან ერთად, ბანკს 10 მილიონი აშშ დოლარის დაფინანსებას გამოუყოფს. ეს თანხა მიმართული იქნება მიკროსესხების ზრდაზე. Citi-სა და OPIC-ის ერთობლივი გლობალური ინიციატივის მთლიანი მოცულობა 250 მილიონი აშშ დოლარია. 2006 წლის შემდეგ, რაც ეს ინიციატივა შეიქმნა, OPIC-თან წარმატებული თანამშრომლობით, Citi-ს უკვე გაცემული აქვს 350 მილიონი აშშ დოლარი, 38 მიკროსაფინანსო ინსტიტუტზე, 21 ქვეყანაში. განვაგრძობთ საქართველოში საფინანსო სექტორის მხარდაჭერას, რაც ეკონომიკის განვითარებასაც შეუწყობს ხელს“.**

„საქართველოს ბანკისთვის“ გამოყოფილი დამატებითი დაფინანსება გახდება თუ არა შესაბამისი სესხის საპროცენტო განაკვეთის დაწევის საფუძველი? „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორი ირაკლი გილაური აცხადებს, რომ Citi-სა და OPIC-ის საკრედიტო ხაზი დაბალპროცენტიანია, რაც, ცხადია, სესხის საპროცენტო განაკვეთის ფორმირებაზეც მოახდენს გავლენას.

ნინო ლურსმანაშვილი

საქართველოს მილიონნახევარი ემიგრანტი ჰყავს

ერუსუდან შელია
557-100-768

რა სიახლეებს სთავაზობს დიასპორის სამინისტრო უცხოეთში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა და დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით, სასტუმრო’„შერატონ მეტეხი პალასში“ საერთაშორისო კონფერენცია — „მიგრაცია და განვითარება“ გაიმართა. კონფერენციას, რომელიც მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოს მიისიის მთავრობასთან თანამშრომლობის 20 წლის იუბილეს მიეძღვნა, IOM-ის ხელმძღვანელი ილიანა დერილოვა, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის რეგიონული დირექტორი რენატე ჰელდი, საქართველოში ისრაელის ელჩი იუვალ ფუქსი, მოლდავეთის დიასპორასთან ურთიერთობის ბიუროს ხელმძღვანელის მოადგილე ანასტასია სტურზა, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი კონსტანტინე სურგულაძე, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი, საქართველოს ეკონომიკის მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გუბაზ სანიკიძე, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. სესიის მოდერატორი კი ვენის რეგიონული სამსახურის მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი მარინა მანკე იყო.

კონფერენციის მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება დიასპორული ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობებს დაუთმეს; ამასთან ირლანდიის, ისრაელისა და მოლდავეთის მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა საზღვარგარეთ მიღებული გამოცდილება ქართველ კოლეგებსაც გაუზიარეს. დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის, კონსტანტინე სურგულაძის განცხადებით, დიასპორასთან ურთიერთობის სტრატეგიის შემდგომი განვითარებისა და განახლების მიზნით, სამინისტრომ სპეციალური პროექტი შეიმუშავა. მინისტრის თქმით, ქვეყნის ფარგლებსგარეთ, საქართველოს დაახლოებით მილიონნახევარი მოქალაქეა გასული: **„ოფიციალური სტატისტიკა, რეალურად, არ არსებობს, რადგან წლების განმავლობაში არავინ აღრიცხავდა, ვინ გადიოდა საზღვარგარეთ და ვინ შემოდიოდა, 2007 წლიდან კი მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის დახმარებით, საზღვრისპირა მართვის ელექტრონული სისტემა შეიქმნა. შესაბამისად, საზღვარგარეთ მყოფ ქართველთა მხოლოდ სავარაუდო რაოდენობის დასახელება შეგვიძლია. ამ ეტაპზე, ჩვენი გამოთვლით, 1,5 მილიონამდე თანამემამულე საზღვარგარეთ იმყოფება“.**

მინისტრის განცხადებით, უწყება დიასპორების გლობალურ ქსელს ქმნის, რომლის საშუალებითაც ემიგრანტები სახელმწიფოსგან მათთვის საინტერესო ნებისმიერ ინფორმაციას მიიღებენ. კონსტანტინე სურგულაძე სატესტო ვერსიის ამოქმედებას 2014 წლისთვის ვარაუდობს: **„ქსელური ურთიერთობის ამ ფორმატში ჩვენს თანამემამულეებს საშუალება ექნებათ, დარეგისტრირდნენ და ონლაინრეჟიმში სამინისტროს მიერ შეთავაზებული პროექტები განიხილონ. თანამემამულის სტატუსის საკითხზეც ვმუშაობთ. მოქმედი კანონით, თანამემამულედ მიიჩნეოდა ადამიანი, რომელსაც გააჩნია თანამემამულის ვადიანი მოწმობა, თუ აღნიშნულ მოწმობას ვადა გაუვიდა, პირი თანამემამულე აღარაა და ვფიქრობთ, ეს კანონი შესაცვლელია. რაც შეეხება დასაქმების პროგრამას, საზღვარგარეთ მყოფ ქართველებს სამშობლოში დაბრუნებისკენ არ მოვუწოდებთ, რადგან ეს მხოლოდ მათი გადასაწყვეტია, უბრალოდ, შევეცდებით, საქართველოში ისეთ სამუშაო გარემო შევქმნათ, რომ ემიგრანტებს სამშობლოში დაბრუნების სურვილი გაუჩნდეთ“.**

მიგრაციულ პროცესებში ქართული დიასპორის ჩართვის აუცილებლობაზე ალექსი პეტრიაშვილმაც ისაუბრა. ევროატლანტიკურ საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა აღნიშნა, რომ სახელმწიფომ თითოეული ემიგრანტის კეთილდღეობაზე უნდა იზრუნოს: **„ქართულ დიასპორას შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ქვეყნის კეთილდღეობაში, ამიტომ აუცილებელია, სახელმწიფომ ამ ურთიერთობების განმტკიცებასა და განვითარებაზე იზრუნოს. ისიც მნიშვნელოვანია, რომ ამ კონფერენციას ჩვენი მეგობარი ქვეყნებიდან — ირლანდიასა და ისრაელიდან საკმაოდ გამოცდილი პირები ესწრებიან, ამ მხრივ მნიშვნელოვანია ევროკავშირსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობაც“.**

ქართველმა ფიზიკოსმა ენერგიის ახალი წყარო გამოიგონა?!



დავით დევიძე
593-219-042

ფიზიკოსი ბიძინა მინდორაშვილი პრემიერ ბიძინა ივანიშვილს, ხელისუფლებასა და კერძო ბიზნესს გრანდიოზულ პროექტს სთავაზობს. საქმე ენერგიის აქამდე უცნობი წყაროს გამოყენებას ეხება... დღეს სწორედ ის ქვეყნებია ყველაზე განვითარებული, რომლებიც ინოვაციურ ტექნოლოგიებს ფლობენ — ამ ტექნოლოგიებით ვაჭრობა დაუშრეტელი შემოსავლისა და სიმდიდრის წყაროა. თუ „ვერსიის“ რესპონდენტს დავუჯერებთ, საქართველოსაც შეუძლია, ტექნიკური ინოვაციების ქვეყნად იქცეს. ეს განცხადება ვიღაცას შეიძლება, ამბიციურად მოეჩვენოს, მაგრამ ფაქტია: არ არსებობს მეცნიერების დარგი, ქართველებს თავიანთი ღირსეული წვლილი რომ არ შეეტანათ.

— ექსპერტების შეფასებით, მსოფლიოს გაზისა და ნავთობის მარაგი მხოლოდ 50-60 წელი ეყოფა, ამ ფონზე ერთი წამითაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დედამიწის დღევანდელი კეთილდღეობა სწორედ ნახშირწყალბადოვანი ნედლეულის — ნავთობის, გაზისა და ქვანახშირის აქტიურ მოხმარებას ეფუძნება. 50-60 წლის შემდეგ, როცა ნახშირწყალბადი გამოილევა, ჩვენი ცივილიზაციაც განადგურებას დაიწყებს, ეს პროცესი კი ხანგრძლივი და მტკივნეული იქნება. პესიმისტი არ ვარ, მაგრამ ჯერ არაა ის ენერგომატარებელი აღმოჩენილი, რომელიც ისეთ მოქნილ საწვავს, როგორიც ნახშირწყალბადია, წარმატებით შეცვლის.

ეს ფუნდამენტური ფიზიკის საქმეა, მაგრამ მეცნიერები ველის არაპრაქტიკული, თეორიული კვლევებით არიან დაკავებულები, რაზეც კოლოსალური თანხა იხარჯება. თეორიული კვლევები, ცხადია, აუცილებელია, მაგრამ ცოტა დამაფიქრებელია, რომ შედეგი შორეულ პერსპექტივაშიც არ ჩანს.

1931 წელს, აშშ-ში ელემენტარული ნაწილაკების პირველი ამჩქარებელი ქარხანა აიგო, რასაც მსგავსი მშენებლობების ბუმი მოჰყვა, ყველაფერი კი შვეიცარიაში, ე.წ. ცერნში დიდი ადრონული კოლაიდერის აგებით დასრულდა. ყველა ეს ქარხანა პროტონული, ელექტრონულ-პოზიტრონული ან შერეულია. ყველა ეს ნაწილაკი სტაბილურ და ძირითად ელემენტარულ ნაწილაკად მიიჩნევა, მაგრამ არსებობს კიდევ ერთი ძირითადი ელემენტარული ნაწილაკი, რომელიც არასტაბილურია, მაგრამ ძირითად ელნაწილაკებს შორის ყველაზე მძიმეა და მისი გამოყენების სფეროც შეიძლება გაცილებით დიდი იყოს. ეს ნაწილაკი ნეიტრონია.

— თქვენი გამოგონებაც ამ ნაწილაკს ანუ ნეიტრონს უკავშირდება?

— აგიხსნით, საქმე რასთანაც გვაქვს: ნეიტრონი რომ არ არსებობდეს, არც ატომური ბომბი იქნებოდა. ჩემი გამოგონებაც — „სივრცისა და მისი გრავიტაციის ფიზიკური თეორია“ — სწორედ ნეიტრონს უკავშირდება. სხვათა შორის, ეს გამოგონება საქპატენტში მაქვს გაგზავნილი.

ნეიტრონი და პროტონი არსებითად განსხვავებული ელნაწილაკებია, თუმცა შესაბამის ხელსაწყოში სპეციალური პროცედურებით დამუშავების, ერთმანეთის შეჯახებისა და ანიჰილაციის (ნაწილაკთა გარდაქმნა) შედეგად, სწორედ იმ მეტად საჭირო, ზემძლავრ და, პრაქტიკულად, ულევ ენერგიას იძლევა, რომელიც ყველა არსებულ ელექტრომატარებელს წარმატებით შეცვლის, თან ნეიტრონების ანიჰილაციით მიღებული ენერგია აბსოლუტურად უსაფრთხოა.

ნეიტრონი, როგორც გითხარით, ერთ-ერთი ძირითადი, მაგრამ არასტაბილური ნაწილაკია, ამიტომაც ატომბირთვიდან გამოვარდნილი ნეიტრონი, 10-15 წუთში პროტონად, ელექტრონად და ანტინეიტრონად იშლება. ბირთვიდან გამოთავისუფლებული ნეიტრონები ნახევარდაშლას ერთ წამზე ადრე განიცდიან, ამიტომ მიიჩნევენ, რომ მისი გამოყენება შეუძლებელია და იმის წარმოდგენაც ძნელია, რომ სპონტანური დაშლის პროცესს როგორმე ხელი შეუშალო. ჩემი თეორიით კი, ეს შესაძლებელია და თუკი ნეიტრონის დაშლას შევაფერხებთ, ხელში შეგვრჩება უახლესი ტიპისა და რადიკალურად განსხვავებული კლასის ენერგომატარებელი, რომელიც გამოყენებული იქნება უნივერსალური ძრავის შესაქმნელად. ეს ძრავა დღემდე არსებულ ყველა ძრავას შეცვლის, წყალქვეშა ნავიდან დაწყებული შორეული ფრენის კოსმოსური ხომალდით დამთავრებული. ყველაფერ ამისთვის ფიზიკური კვლევების ჩატარებაა საჭირო. მზად მაქვს ყველა საჭირო ნახაზი და მოქმედების გეგმა, მაგრამ მის განხორციელებას საკუთარი სახსრებით, ცხადია, ვერ შევძლებ. ყველაფერი სახელმწიფოსა და კერძო პირებზეა დამოკიდებული...

P.S. მეცნიერები უფულონი არიან. სახელმწიფოს დანიშნულება კი ისიცაა, რომ მათ ყურადღება მიაქციოს. იგივეს თქმა ბიზნესმენებზეც შეიძლება. ბიზნესის ინტერესი ფინანსური მოგებაა და ეს ბუნებრივიცაა. ზემოხსენებული პროექტი კი, სწორედ მოგებაზეა ორიენტირებული. ასე რომ, ბიძინა მინდორაშვილის წინადადებით დაინტერესება ღირს...

ფიცის დადებისას გიორგი მარგველაშვილის გვერდით მაკა ჩიჩუა არ იდგება

როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა, მაია ფანჯიკიძემ განაცხადა, სცენარის მიხედვით, პრეზიდენტი ფიცის დადების მომენტში ტრიბუნასთან მარტო იქნება.

„პრეზიდენტი მარგველაშვილი ტრიბუნასთან სრულიად მარტო იდგება... როდესაც დადებს ფიცს, წაიკითხავს მისასალმებელ სიტყვას, ჩაიბარებს ჯარსა და მთავარსარდლობას, სცენარით მის გვერდით არავის ყოფნა გათვალისწინებული არ არის. მისი მეუღლე იდგება საზოგადოებაში. უკვე ფიცდადებულ პრეზიდენტს ასევე არ ექნება საშუალება, დაჯდეს. როგორც კი მორჩება პროცედურით გათვალისწინებული ფუნქციის შესრულებას, გმირთა მოედნისკენ გაემართება. მისი ოჯახის წევრები საპატიო ადგილას, მაყურებლებში იქნებიან“, — განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

„პირველი“

შსს-მ თბილისსა და ქუთაისში სპეცოპერაცია ერთდროულად ჩაატარა

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის მე-2 მთავარი სამმართველოს და იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა ძარცვის ბრალდებით ორი პირი დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, თბილისსა და ქუთაისში ერთობლივად ჩატარებული სპეციალური ოპერატიული ღონისძიების შედეგად, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი ორი პირი – 1957 წელს დაბადებული ოლეგ ო. და 1963 წელს დაბადებული ამირან ი. ჯგუფური ძარცვის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულებმა 2013 წლის 12 ოქტომბერს ხონის რაიონის სოფელ პატარა ჯიხაისში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე რევაზ ხ-ს ოქროს ყელსაბამი და სამაჯური გასტაცეს. სამართალდამცველებმა ოქროს ყელსაბამი ნივთმტკიცებად ამოიღეს. დაკავებულები ჩადენილ დანაშაულს აღიარებენ.

გამოძიება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ძარცვის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

„ინტერპრესნიუსი“

პატრულმა რუსთაველის გამზირზე ფერადკანიანი მათხოვარი დააკავა

„დამეხმარეთ, გთხოვ, დამეხმარეთ, ფლიზ!“ — ფერადკანიანი მათხოვარი დახმარებას, სავარაუდოდ, პატიმრობიდან გამოსაშვებად მოითხოვს. თვითმხილველთა ინფორმაციით, დაკავებული, რომელიც რუსთაველის გამზირზე მათხოვრობდა, ყვიროდა და პატრულის ეკიპაჟს ქვა ესროლა.

„ამბები.ge“

ვერსიანიუსი

საპატრიარქო „იდენტობის“ მიერ თავშესაფრის გახსნის ინიციატივას ეხმაურება

საპატრიარქოში მიიჩნევენ, რომ „იდენტობა“ სექსუალური უმცირესობების დამცველი ორგანიზაციაა, რამაც შესაძლოა, თავშესაფარში მცხოვრებ ბავშვებზე უარყოფითი გავლენა მოახდინოს.

„როგორც საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობამ“ განაცხადა, რომ სურვილი აქვს და უკვე შემოწირულობის შეგროვებაც დაიწყო მიუსაფარი ბავშვებისთვის თავშესაფრის დასაარსებლად.

„იდენტობა“ ჰომოსექსუალთა და სხვა სქესობრივი უმცირესობების უფლებების დამცველი და მათი აქტიური მხარდამჭერია. ბუნებრივია, იქმნება საშიშროება, რომ მათი „მზრუნველობის“ ქვეშ მოქცეულ არასრულწლოვნებთან ცხოვრების ასეთი წესი იქნას წახალისებული ან, დიდი ალბათობით, ისინი ამგვარი ორიენტაციის მიმდევრები გახდნენ, რაც ბავშვთა საყოველთაოდ აღიარებული — პირადი ცხოვრების უფლების დარღვევას წარმოადგენს. ეს კი მიუღებელია როგორც ეკლესიისთვის, ისე მთელი საზოგადოებისთვის.

აღვნიშნავთ იმასაც, რომ სრულიად ვუჭერთ მხარს ჯანდაცვის სამინისტროს პოზიციას და მიგვაჩნია, რომ მიუსაფარ ბავშვებზე მზრუნველობა უნდა განხორციელდეს სახელმწიფოსთან კოორდინირებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და არა — მხოლოდ „იდენტობის“ შეხედულებისამებრ, დამოუკიდებლად, რადგან ამ შემთხვევაში ბავშვების პირად ცხოვრებასა და არჩევანზე უარყოფითი ზემოქმედების საფრთხე მეტ-ნაკლებად მოხსნილი იქნება“, — ნათქვამია საპატრიარქოს განცხადებაში.

შეგახსენებთ: „იდენტობა“ მზრუნველობამოკლებულთათვის სოციალური თავშესაფრის გახსნას ზამთრის დაწყებამდე გეგმავდა, თუმცა ორგანიზაციის მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად, პროექტი აღარ განხორციელდება, რადგან, როგორც მათი, ისე თავშესაფრის ბინადრების უსაფრთხოება დაცული არ არის.

„პირველი“

„ქართული სახელმწიფოს დაისი მოახლოებულია!“

პოეტი ვაჟა ოთარაშვილი „ქართულ ოცნებას“ საყვედურობს, საქართველოს მოქალაქეობის გამარტივებულ მინიჭებას კი სააკაშვილის შიზოფრენიულ გადაწყვეტილებად აფასებს

ვინმემ მათი ბიოგრაფია გამოიკვლია? ვიმეორებ: სააკაშვილის ქმედება დანაშაულია და სამარცხვინოა, რომ ამ ადამიანებმა საპრეზიდენტო არჩევნებში 21% დაიწერეს. თუ თითოეულ მათგანს არ გავასამართლებთ, დემოკრატიის გზას ვერასოდეს დავადგებით.

ბრუსულან შელია
557-100-768

საქართველოს ჯერ კიდევ მოქმედი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მსურველებს საქართველოს მოქალაქეობას გამარტივებული წესით ანიჭებს და, როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაციაში აცხადებენ, ეს გადაწყვეტილება მიხეილ სააკაშვილმა ქვეყნის გარესამყაროსთან მაქსიმალური ინტეგრირებისთვის მიიღო. „ვერსიასთან“ სააკაშვილის ინიციატივას პოეტი ვაჟა ოთარაშვილი აფასებს.

— ე.წ პრეზიდენტის სასახლესთან მაშინ ჩავიარე, როცა საქართველოს მოქალაქეობის მსურველთა უზარმაზარი რიგი იდგა. მაშინათვე ქაჯეთის ციხის ასოციაცია გამიჩნდა. უამრავი არაქართველი — შავკანიანი თუ ყვითელკანიანი განცხადებით იდგა და მოქალაქეობას მინიჭებას ელოდებოდა. კი ბატონო, ესტუმრონ საქართველოს, არავის წინააღმდეგი ვარ, მაგრამ ყველას თავის სამშობლოში გაუმარჯოს. თუ ასე გავაგრძელეთ, მალე ქართველები საკუთარ სამშობლოში უმცირესობაში აღმოვჩნდებით. ასე რომ, მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს წინაშე კიდევ ერთი დიდი დანაშაული ჩაიდინა.

— **პრეზიდენტის ადმინისტრაციამ განმარტა, რომ უცხოელებისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების პროცესი ჩვენი ქვეყნის გარესამყაროსთან ინტეგრირებისთვის აუცილებელია.**

— შიზოფრენიული განცხადებაა, თუმცა ამ გადაწყვეტილების უკან ქართული ენისა და ცნობიერების წინააღმდეგ მიზანმიმართული ბრძოლა დგას. სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში, ნაციონალური მოძრაობის კრიმინალური ბანდის მიერ ჩადენილი დანაშაულის თანამონაწილე ხელისუფლებაც გახდა, რადგან ეს ადამიანები ციხეში არ გამოამწყვდია და ქართველი ხალხი ამ ადამიანებისგან დამოძღვრას ისმენს.

სააკაშვილი ათასობით უცხოელს საქართველოს მოქალაქეობას ვერ მიანიჭებდა, „ქართულ ოცნებას“ მის პოლიტიკურ განეიტრალებაზე დროულად რომ ეზრუნა და ხალხისთვის თავზე ე.წ. კოჰაბიტაცია არ მოეხვია. დაახლოებით, ერთი წლის წინ, პრეზიდენტის სასახლესთან საკმაოდ მასშტაბური აქციები იმართებოდა და მოქალაქეები სააკაშვილის წინააღმდეგ იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებას ითხოვდნენ, თუმცა ერის ხმა კოალიციამ არ მოისმინა. დღეს სწორედ ამ შეცდომის შედეგებს ვიმკით.

— **უცხოელებისთვის საქართველოს მოქალაქეობის მასობრივად მინიჭების ფონზე, გაჩნდა აზრი, რომ სააკაშვილი ნაციონალური მოძრაობისთვის სტაბილურ ამომრჩეველს აგროვებს.**

— სააკაშვილმა საქართველოს მოქალაქეობა ხახვის ფურცლებივით, რა თქმა უნდა, სწორედ ამომრჩევლის მოსაგროვებლად დაარიგა — ნიადაგს იმზადებს თვითმმართველობის არჩევნებისთვის და ამ ადამიანებს ნაციონალური მოძრაობის სასარგებლოდაც გამოიყენებს. მოქალაქეობის მიღება გამარტივებული მსოფლიოს ერთ ქვეყანაშიც არაა, პირიქით, უცხოელებისთვის პროცედურები საკმაოდ გართულებულია, მათ შორის, ქართველებისთვისაც. მოქალაქეობის მინიჭება განსაკუთრებულ შემთხვევებში უნდა ხდებოდეს. კერძოდ, კონკრეტული პირის განვლილი ცხოვრებისა და ქართველი ერის წინაშე დამსახურების გათვალისწინებით.

იქნებ ის ადამიანები, რომლებსაც მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა, ტერორისტები არიან და ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ბნელი ზრახვები ამოძრავებთ?!

— **ნაციონალური მოძრაობის გასამართლება და მიხეილ სააკაშვილის შესაძლო დაკავება დემოკრატიის გზაზე დაგვაყენებს?**

— სამარცხვინოა, როცა საზოგადოების ნაწილი ბაჩო ახალაიასა და ვანო მერაბიშვილის ციხიდან გათავისუფლებაზე საუბრობს. პირიქით, მხოლოდ სააკაშვილი კი არა, მასთან ერთად, გიგი უგულავაც უნდა დააკავონ, რომელმაც თბილისის მიწები გაყიდა და დედაქალაქის ინფრასტრუქტურა სრულად დაანგრია, უამრავი მნიშვნელოვანი სტრუქტურა მოშალა და თბილისის ბიუჯეტიდან მილიონები მოიპარა. ასევე, უნდა გასამართლდენენ გიგა ბოკერია, ზურა ადეიშვილი, დიმიტრი შაშკინი, კახა ლომაია და ნაციონალური მოძრაობის სხვა კრიმინალები, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვიმეორებ, „ქართული ოცნება“ არასწორი გზით ივლის. არ შეიძლება, ერთ სუფრასთან მგელი და ცხვარი, ეშმაკი და ანგელოზი დასვა.

— **„ქართული ოცნება“ „ანგელოზია“?**

— ბოროტისა და კეთილის კოჰაბიტაცია შეუძლებელია, ამას ვგულისხმობ... სამწუხაროდ, ხელისუფლებამ სააკაშვილს თბილი ბუნაგი შეუნარჩუნა და მერწმუნეთ, ის ფაქტი, რომ 17 ნოემბრის შემდეგ პრეზიდენტი აღარ იქნება, არაფერს ნიშნავს. სისხლისმსმელ კაცს ხელშეუხებლობა როგორ უნდა მიანიჭო?! სამწუხაროდ, ეროვნული კუთხით, ბოლო ერთი წლის განმავლობაში, ხელისუფლების პოლიტიკა არ შეცვლილა — როგორც 9 წლის განმავლობაში, დღესაც საკუთარ სამშობლოში ქართველ კაცს ძაღლად არ აგდებენ. სისხლისგან რომ იცლებოდე, თუ ფული არ გაქვს, საავადმყოფოებში ყურადღებას არავინ მოგაქცევს, შობადობაც შემცირდა, გაერო-ს მონაცემებით კი, 50 წლის შემდეგ, ქართველი ერის არსებობა ეჭვქვეშ დადგება. მართალია, ხელისუფლება აცხადებს, რომ სოციალური პოლიტიკა გააუმჯობესა, მშობიარობა უფასო გახდა და საყოველთაო დაზღვევის პროგრამაც დაწყებულია, მაგრამ რეალურად, აღნიშნულმა ინიციატივებმა საზოგადოების მოლოდინი ვერ გაამართლა, ამიტომ უფლისა და ქართველი ხალხის გარდა, არავის იმედი მაქვს. სამოქალაქო სექტორმა ხელისუფლება უნდა აიძულოს, საქართველოში, პირველ რიგში, ქართველი კაცის ინტერესები იყოს დაცული. თუ ეს ვერ მოვახერხეთ, ჩათვალეთ, რომ ქართული სახელმწიფოს დაისი მოახლოებულია და მალე საქართველოს ადგილას, შესაძლოა, მივიღოთ ტერიტორია, სადაც ქართველები აღარ იცხოვრებენ!

თეა წულუკიანმა კეზერაშვილის ექსტრადიციაზე ფრანგ კოლეგას მიმართა

საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თავდაცვის ყოფილი მინისტრის, დავით კეზერაშვილის ექსტრადიციის საკითხთან დაკავშირებით, ფრანგ კოლეგას მიმართა, — ამის შესახებ ჟურნალისტებს თეა წულუკიანმა განუცხადა.

მისივე განმარტებით, საფრანგეთის იუსტიციის მინისტრს აუხსნა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მართლმსაჯულებისა და სამართლიანობისთვის საქართველოში კეზერაშვილის ექსტრადაციის განხორციელება.

„საქართველოს მთავარი პროკურატურა მუშაობს საფრანგეთის სასამართლოსთვის დოკუმენტაციის გაგზავნის საკითხზე. მქონდა პატივი, მიმემართა ჩემი კოლეგისთვის, საფრანგეთის იუსტიციის მინისტრისთვის და ამეხსნა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მართლმსაჯულებისა და სამართლიანობისთვის კეზერაშვილის ექსტრადიცია. მას შემდეგ, რაც საფრანგეთი მიიღებს მასალებს, ჩვენ ველოდებით სასამართლოს გადაწყვეტილებას“, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

ამასთან, მინისტრი დარწმუნებულია, რომ „გარეშე ძალების მცდელობა“ კეზერაშვილის გასათავისუფლებლად სრული კრახით დასრულდება.

თეა წულუკიანის შეფასებით, თავდაცვის ყოფილი მინისტრის დასაკავებლად საქართველოს შსს-მ ფრანგ კოლეგებთან მჭიდროდ ითანამშრომლა და ეს ორმხრივი თანამშრომლობის შესანიშნავი მაგალითი იყო.

საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი საფრანგეთში 14 ოქტომბერს დააკავეს. მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის ორი საქმეა აღძრული. დავით კეზერაშვილს პროკურატურა ორ ეპიზოდში ედავება — ე.წ. სპირტის კონტრაბანდის და ტელეკომპანია „იმედის“ გასხვისების საქმეებზე, სადაც კეზერაშვილი დედაქალაქის მერ გიგი უგულავასთან ერთადაა ბრალდებული.

„ინტერპრესნიუსი“

პენტაგონმა რუსული ვერტმფრენების შეძენაზე უარი თქვა

გავრცელებული ინფორმაციით, პენტაგონი რუსეთის იარაღის ექსპორტიორი სახელმწიფო კომპანია „როსობორონექსპორტისგან“, რომელიც ასევე იარაღს აწვდის სირიის ხელისუფლებას, MI-17 ტიპის 15 ვერტმფრენს, რომელთა სანაცვლოდ 345 მილიონი დოლარი უნდა გადაეხადა, აღარ შეიძენს.

„მივესალმები თავდაცვის დეპარტამენტის გადაწყვეტილებას, „როსობორონექსპორტიდან“ დამატებითი ვერტმფრენების შესყიდვაზე. ამ კომპანიასთან თანამშრომლობა ამორალური იყო და ჩვენ არ უნდა მოვახდინოთ ასადის დანაშაულებრივი რეჟიმის სუბსიდირება“, — განაცხადა რესპუბლიკელმა სენატორმა ჯონ კორნინმა.

„ინტერპრესნიუსი“

ვერსიანიუსი

რაინდი ვასაძე და „არწივის ორდენის“ კავალრები — ნიკუშა შენგელაია და დავით მაღრაძე

ბაგრატიონების სამეფო ოჯახის მიერ გიორგი ბაგრატიონ-ბაგრატიონის ნათლისთვის, ბიზნესმენ ლევან ვასაძისთვის რაინდის წოდების მინიჭებას საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. რომ არა ვასაძის რაინდობა, ალბათ, არავის გაახსენდებოდა, რომ ჯერ კიდევ 13 ივლისს ესპანეთში, ქალაქ ვალენსიაში დავით ბაგრატიონმა მხატვარი ნიკუშა შენგელაია, პოეტი დავით მაღრაძე და ნინა სვანიძე საქართველოს არწივისა და უფლისა ჩვენი იესო ქრისტეს კვართის ორდენებით დააჯილდოვა. დავით მაღრაძე და ნიკუშა შენგელაია „თავისუფლებისთვის ბრძოლაში გაწეული ღვაწლისათვის“ დაჯილდოვდნენ.

„ეს ჯილდო მნიშვნელოვანია, ვინაიდან რეჟიმი, რომელსაც ვებრძოდით, არჩევნების გზით დავამარცხეთ. დღეს ერი თუ ბერი, ექიმი თუ პედაგოგი, გლეხი თუ სამეფო კარის წარმომადგენელი ერთხმად აღიარებს, რომ ეს იყო ძალადობრივი რეჟიმი, ადამიანის წამებითა და სიტყვის თავისუფლების შეზღუდვით. ამაში ჩვენი მოკრძალებული წვლილი შევიტანეთ და ამ წვლილმა შედეგი გამოიღო“, — აცხადებდა მაშინ პოეტი დავით მაღრაძე, რომელიც ვალენსიაში პირადად არ იმყოფებოდა. აღსანიშნავია რომ მაღრაძე ბურბონების წმინდა გიორგის ორდენის კავალერიცაა.

„ეს ჯილდო იმ ადამიანებს გადაეცემათ, ვისაც რაიმე მიღწევა აქვთ როგორც საქართველოს, ასევე მსოფლიოს წინაშე. მიღებული აქვთ პოლიტიკოსებს, ეკლესიის მეთაურებს, პატრიარქებს. ძალიან დიდი ორდენია. მე დამაჯილდოვეს თავისუფლებისა და ადამიანების უფლებების დასაცავად მუდმივი ბრძოლისთვის“, — განაცხადა დაჯილდოების შემდეგ ნიკუშა შენგელაიამ. „საქართველოს არწივისა და უფლისა ჩვენი იესო ქრისტეს კვართის“ ორდენი 1184-1213 წლებში თამარ მეფემ დააარსა, 1939 წელს კი დავით ბაგრატიონის ბაბუამ, ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელმა აღადგინა. მისი გარდაცვალების შემდეგ, გიორგი ბაგრატიონის გადაწყვეტილებით, ორდენები ოჯახურ წრეში დარჩა, 2001 წლიდან კი ორდენის გადაცემა აღდგა. მამის გარდაცვალების შემდეგ, ორდენების გადაცემა დავით ბაგრატიონ-მუხრანელმა გააგრძელა.

„პირველი რადიო“

ჰოროსკოპი
15 ნოემბერი

ვერძი — ნებისმიერ სირთულეს ადვილად უმკლავდებით და სასურველ შედეგს აღწევთ, უბრალოდ, ეცადეთ, გარშემომყოფებთან ურთიერთობის სწორი ფორმა შეარჩიოთ და ინტუიციას ენდოთ.

კურო — ადვილად ჰუკებით პროვოკაციას, რაც ხშირად გიქმნით პრობლემებს. არც ფინანსური ფონია სახარბიელო, ამიტომ უკეთესი იქნება, რადიკალური გადაწყვეტილებების მიღებისგან თავი შეიკავოთ.

ტყუპები — ბევრს რისკავთ, თუმცა ვარსკვლავები გირჩევენ, არ გამოსცადოთ ბედი. კარგი დღეა სამეცნიერო საქმიანობისთვის, გასართობად კი შეგიძლიათ სადამოს წახვიდეთ, როცა ნეგატიური ტენდენციების გავლენა ნაკლები იქნება.

კირჩხიბი — დღე უამრავ პერსპექტივას ჰპირდება თათ, ვისაც მიღწეულით დაკმაყოფილება არ სურს. ისწავლეთ, შეიცანით და სერიოზულად დაფიქრდით ნებისმიერი ნაბიჯის გადადგმისას — ასე ბევრ უსიამოვნებას აიცილებთ თავიდან.

ლომი — დიდ წამოწყებაში წარმატების მიღწევის შანსი ნაკლებია, წვრილმან საქმეებს კი ადვილად გაუმკლავდებით. საქმიანი შეხვედრა, აჯობებს, საღამოს დაგეგმოთ — ამ დროს მშვიდი, კონსტრუქციული დიალოგისთვის უკვე მზად იქნებით.

ქალწული — რთულად ეწყობა ოჯახური ურთიერთობები, თუმცა ეს განწყობას ვერ გაგიფუჭებთ. უნარი, ვითარება თქვენს სასარგებლოდ შემოაბრუნოთ, დღეს ძალიან დაგეხმარებათ.

სასწორი — დაძაბული დღე გაქვთ, სადამო კი გაცილებით წარმატებული იქნება. სასურველია განტვირთვა მოიწყოთ და შეგობრები მოინახულოთ, ამით მათ ძალიან გაახარებთ.

ღრიანცალი — შეხვდებით ადამიანს, რომელიც მივიწყებულ გრძნობას გაგიდვიძებთ და წარსულში დაგაბრუნებთ. სწორი გადაწყვეტილებების მიღება გაგიჭირდებათ, მაგრამ ყველაზე ცუდი ის არის, რომ არ იცით, ზუსტად რა გინდათ.

მშვილდოსანი — მზად იყავით უსიამოვნო საუბრისთვის, შექმნილი ვითარება ანალიზს მოითხოვს. თუ ემოციებს აყვებით, კონსტრუქციული დიალოგი არ შედგება.

თხის რქა — დღე არასასიკეთო ემოციური ფონით გამოირჩევა. დთრგუნული ხართ, სინამდვილეში კი ყველაფერი ასე ცუდად არ არის — დღის მეორე ნახევარში დარწმუნდებით, რომ ვარსკვლავები კეთილგანწყობილნი არიან თქვენს მიმართ.

მერწყული — საკუთარი შეხედულებების დაცვა მოგიწევთ. ბზარი გაჩნდება ყველაზე ჰარმონიულ ურთიერთობებშიც კი. შეეცადეთ, სიმშვიდე შეინარჩუნოთ და ზედმეტად მომთხოვნი ნუ იქნებით საკუთარი თავის მიმართ.

თევზები — თავი აარიდეთ მწვავე დისკუსიებსა და კონფლიქტურ ვითარებას, რადგან თქვენი რეაქცია ძალიან მწვავე იქნება, ნერვული დაძაბულობა კი ჯანმრთელობას შეგირყევთ. დღეს განსაკუთრებით გეჭირდებათ კეთილგანწყობილი ადამიანების საზოგადოებაში ყოფნა,

ცხელი შოკოლადი ტვინის მუშაობას აუმჯობესებს

აშშ-ს ნევროლოგიის აკადემიის მეცნიერებმა გამოკვლევა ჩაატარეს და დაამტკიცეს, რომ ცხელი შოკოლადი ადამიანს მეხსიერების ასაკობრივი დაქვეითებისგან იცავს — პროდუქტის მოხმარების შედეგად ტვინში სისხლის მიმოქცევა უმჯობესდება. გამოკვლევაში 73 წლის 60 ადამიანი მონაწილეობდა, რომელთაც ტვინში სისხლის მიმოქცევის დარღვევა აღენიშნებოდათ. მონაწილეები რამდენიმე ჯგუფად დაყვეს: ნაწილს კაკაოზე დამზადებული პროდუქტის მოხმარება აუკრძალეს, ნაწილს პირიქით, შოკოლადიანი ტკბილეული ჭარბი რაოდენობით დაუნიშნეს, მესამე ჯგუფის წევრები კი დღეში ორ ფინჯან ცხელ შოკოლადს მიირთმევდნენ, თუმცა სხვა სახით ამ პროდუქტის მიღება ეკრძალებოდათ. კვლევის დასრულების შემდგომ აღმოჩნდა, რომ 42 ადამიანს გაუუმჯობესდა ტვინში სისხლის მიმოქცევა — საუკეთესო შედეგი კი მესამე ჯგუფის მოხალისეებს ჰქონდათ.

სტრესის მოსახსნელად გველებს იყენებენ

ჯაკარტაში მდებარე ერთ-ერთი სპა-სალონი კლიენტებს დაძაბულობის მოხსნის ექსტრავაგანტულ მეთოდს სთავაზობს — ეს გველებთან კონტაქტით მიღებული შიშია. სალონის თანამშრომლები აცხადებენ, ქრონიკული გადაღლილობა და სტრესი უმალ ქრება ადრენალინის გამოყოფის შედეგად, რასაც კლიენტების სხეულზე მოსრიალე გველები იწვევს. პითონების მასაჟის სეანსი ერთ საათს გრძელდება და ამ პერიოდში სალონის თანამშრომლები ვალდებულნი არიან, აკონტროლონ ვითარება. ადრენალინი კი, რომელიც ამ უჩვეულო მასაჟის შედეგად გამოიყოფა, ხელს უწყობს მეტაბოლიზმის პროცესს. სპა-სლონში აცხადებენ, რომ ამ ეგზოტიკურ პროცედურას უკვე ბევრი თაყვანისმცემელი გამოუჩნდა და გველების მასაჟის მისაღებად კლიენტები წინასწარ ეწერებიან.

ჰოროსკოპი
16 ნოემბერი

ვერძი — მტკიცე ნებისყოფას გამოავლენთ ფულადი, ქონებრივი და სამომხმარებლო საკითხების მოგვარებისას. მიუხედავად ამისა, რომ იცით, როგორ იმოქმედოთ მოცემულ მდგომარეობაში, მაინც გაითვალისწინეთ კომუნიტენტური ადამიანების რჩევები.

კურო — დოკუმენტების გაფორმებით იქნებით დაკავებული, რაც ძალიან დამღლელია, თუმცა აუცილებელი მომავალი წარმატებისთვის. სამსახურში დაძაბული ფონი მატულობს, მოთმინება გამოიჩინეთ და მალე ყველაფერი ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდება.

ტყუპები — შესაძლოა, ახალი ბიზნესი წამოიწყოთ. მთავარია, ჩამოყალიბდეთ და მომავალი ქმედებები კარგად გააანალიზეთ. ეცადეთ, მკაცრად გამიჯნოთ საქმიანი და პირადი სფერო, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელოვნურად შექმნით პრობლემებს.

კირჩხიბი — უყურადღებობის გამო, შესაძლოა მნიშვნელოვანი მონაცემები, ჩანაწერები ან დოკუმენტები დაკარგოთ, რაზეც თქვენი მომავალია დამოკიდებული. მობილიზებული იყავით, მხოლოდ ასე შეძლებთ მოსალოდნელი პრობლემების აცილებას.

ლომი — საცხოვრებელი ადგილის ან სამსახურის შეცვლის აუცილებლობა საგონებელში ჩაგაგდებთ, თუმცა ცვლილება წარმატებული იქნება, უბრალოდ, ნაკლებად სარისკო ნაბიჯები გადადგით და შექმნილი ვითარება გააანალიზეთ.

ქალწული — არასასურველია, დაკავდეთ ფინანსური ოპერაციებით. არის რისკი, რომ მოგატყუებენ. მხოლოდ მათ ენდეთ, ვისაც დიდი ხანია იცნობთ და გულდასმით შეამოწმეთ ყოველი დოკუმენტი.

სასწორი — პირად ცხოვრებაში ცვლილებები გელით, მაგრამ მხოლოდ თქვენი გადასწყვეტი იქნება, რა გზას აირჩევთ. ბევრი იქნება დამოკიდებული განწყობაზეც და პრიორიტეტებზეც. მოუსმინეთ გულის ხმას და ენდეთ ინტუიციას.

ღრიანცალი — არ არის გამორიცხული, რომ პრობლემები შეგექმნებათ დროის უკმარისობის გამო. სწრაფად ხარჯავთ მთელ რესურსს მხოლოდ ერთი მიმართულებით, მაგრამ თუ საკუთარი ოცნების რეალიზება ნამდვილად გსურთ, მოქმედების სტრატეგია უნდა შეიმუშაოთ.

მშვილდოსანი — ემოციური ფონი გამწვავებულია და არ არის გამორიცხული აგრესიული რეაქცია უწყინარ ხუმრობაზეც კი. შესაძლოა კამათიც მოგიხდეთ საყვარელ ადამიანთან, რაც მერე სანანელად გექნებათ..

თხის რქა — ცვლილება, რომლის განხორციელებაზეც დიდი ხანია ფიქრობთ, ახლა უნდა მოხდეს. სამსახურისა და თუ საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა სწორედ ისაა, რაც გჭირდებათ, თანაც რისკი მინიმალური იქნება.

მერწყული — არ არის გამორიცხული, რომ თქვენი მეფლანგველობის გამო ფინანსური პრობლემები შეგექმნათ, თუმცა დახმარება სრულიად მოულოდნელად გამოჩნდება, საიდანაც ყველაზე ნაკლებად ელით.

თევზები — გარშემომყოფების აქტიურად ჩარევა თქვენს ცხოვრებაში უკვე გამაღიზიანებელი ხდება. ეცადეთ, გადაწყვეტილებები დამოუკიდებლად მიიღოთ და ნაკლებად ეკონტაქტოთ მათ, ვის მიმართაც ნდობა საერთოდ არ გაგაჩნია.

საშინელებათა ფილმი – წინაშე დაკლების საფრთხილო საშუალება

ვესტმინსტერის უნივერსიტეტის მკვლევარები ამტკიცებენ, რომ საშინელებათა ფილმების ყურებისას იმდენივე კალორია იწვის, რაც ფეხით ნახევარსაათიანი სეირნობისას. ექსპერიმენტისას მონაწილეები 10 კლასიკურ საშინელებათა ფილმს უყურებდნენ — ამ პერიოდში ყველას უსინჯავდნენ პულსს, აკონტროლებდნენ ორგანიზმში ჟანგბადის რაოდენობას და ამონასუნთქ ნახშირორჟანგს, შედეგად კი გაარკვიეს, რომ 1,5 საათის განმავლობაში, საშინელებათა ფილმის ყურებისას დიდი რაოდენობით ადრენალინი გამოიყოფა და შედეგად, საშუალოდ, 113 კალორია იწვის.

სასტუმრო არაორდინალური ადამიანებისთვის

გერმანიის დედაქალაქში მდებარე სასტუმრო Propeller Island City Lodge-ს კლიენტებს, ნომრის გასაღებთან ერთად, ოთახის მოხმარების სახელმძღვანელოსაც სთავაზობს. ეს სასტუმრო ხელოვნების ნამდვილი ნიმუშია — ინტერიერი, ავეჯი თუ აქსესუარები მხატვარმა ლარს სტროშენმა შექმნა და არც ერთი მათგანი ერთმანეთს არ ჰგავს. აქ არის სარკის ოთახი, ნომერი-გალია, ოთახი დახრილი იატაკით, ნომერი Upside, სადაც საწოლი ჭერზეა მიმაგრებული... ყოველი მათგანი აუდიოსისტემითაა აღჭურვილი, რომელიც კონკრეტული ნომრისთვის სპეციალურად შექმნილ მუსიკას მოგასმენინებთ, ხმოვან სკულპტურებსაც გაჩვენებთ და საინტერესო კოლაჟებსაც წარმოგიდგენთ.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲨᲐᲮᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

				9				
		2	7	6			1	
1	9				2			
	1		4			8	5	
2		6				1		3
	4	5			1		9	
			2				6	5
	7			1	5	3		
				7				

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

			8		6			4
	8				1	2		
	2	5				1		3
					7	6		
	1			8			2	
		4	1					
3		1				9	4	
		8	9				6	
9			3		5			

ᲠᲗᲣᲚᲘ

	3					9		
	5		2		9			7
							6	4
	8				7	5		
			4	3	2			
		4	9				7	
5	4							
1			6		8		2	
		6					8	

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

				2	1		7	
			9			6	3	
		9			5			1
6			8				1	
	3			9			8	
	1				4			6
2			5			4		
	6	1			7			
	8		2	6				

ᲕᲝᲠᲝᲡᲙᲝᲠᲘ
17 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲕᲔᲠᲫᲘ — სერიოზულად ღირს დაფიქრება იმაზე, როგორ ხედავთ თქვენს მომავალს: საუკეთესო დღეა იმისთვის, რომ ძალები ახალ სფეროში მოსინჯოთ და უარი თქვათ უპერსპექტივო შემოთავაზებებზე.

ᲙᲣᲠᲝ — მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება მოგიწევთ. მთავარია, არ შეგეშინდეთ, მით უმეტეს, რომ დღე კარგია ექსპერიმენტებისთვის პროფესიულ სფეროში და დისკუსიებიც კონსტრუქციული იქნება.

ᲪᲣᲙᲔᲠᲘ — ბევრ დროს გართმევთ თქვენთვის უინტერესო თემებზე საუბარი, თავის დაღწევა კი თითქმის შეუძლებელია, რადგან თანამოსაუბრეებზეა დამოკიდებული თქვენი კარიერული წინსვლა.

ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲜᲘ — შესანიშნავი დღეა ექსპერიმენტისთვის, მით უმეტეს, ზუსტად იცით, როდის, როგორ იმოქმედოთ. არჩეული ტაქტიკა სწორი და ერთადერთია. დღის მეორე ნახევარში შეგიძლიათ წვეულებაზე წახვიდეთ ან მეგობრებისთვის თავად მოაწყოთ სასიამოვნო საღამო.

ᲚᲝᲛᲘ — გაგიჭირდებათ ადამიანების სწორად შეფასება, ხან ზედმეტად მიმნდობი ხართ, ხან კი ზედმეტად ეჭვიანი. ენდეთ ინტუიციას და ეცადეთ, გული არ ატკინოთ მათ, ვისაც ნამდვილად უყვარხართ.

ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲘ — არაა გამორიცხული ფინანსური დანაკარგი, თუმცა არ ღირს ამის გამო გეგეშების შეცვლა. თუ ისეთი ადამიანების გარემოცვაში იქნებით, ვისაც ენდობით, მსგავს პრობლემებს ადვილად გაუმკლავდებით.

ᲯᲘᲯᲒᲝᲠᲘ — საშუალება მოგეცემათ, თავი საუკეთესო კუთხით წარმოაჩინოთ. ადვილად შეძლებთ საპირისპირო სქესის მოხიბვლასაც. დღე იდეალურია ფინანსური ოპერაციების განხორციელებისთვის.

ᲦᲠᲘᲜᲯᲚᲘ — ერთ ადგილას გაჩერება გიჭირთ, რადგან ხეტიალისა და თავგადასავლების სურვილი გამოძრავებთ. სისულელეებს გამიზნულად სჩადიხართ, რუტინისგან რომ განიტვირთოთ.

ᲛᲨᲕᲘᲚᲝᲕᲜᲘᲡᲜᲘ — ბევრი სასარგებლო და საინტერესო საქმის გაკეთებას შეძლებთ. მთავარია, არავის მისცეთ უფლება, გზიდან გადაგიყვანოთ, დასახული მიზნის მიღწევაში ხელი შეგიშლოთ, მნიშვნელოვანი გადწყვეტილებები კი თავად მიიღეთ.

ᲗᲮᲘᲡ ᲠᲥᲐ — დღე ცვლილებებს მოიტანს პროფესიულ სფეროში. ბევრი რამ იმაზეა დამოკიდებული, დაუჯერთ თუ არა მხარს ადამიანს, ვისი კვლევნაც საათობით იზრდება.

ᲛᲔᲠᲜᲣᲚᲘ — ახალ შემოთავაზებას მიიღებთ, რაზეც უარის თქმა გიჭირდებათ, შესაძლოა მნიშვნელოვანი შემოსავალიც გაჩნდეს. დღე უამრავი საახლით იქნება გადატვირთული, თუმცა ეს უფრო საინტერესოდ მოგეჩვენებათ, ვიდრე დამღლელად.

ᲗᲔᲗᲠᲘ — საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვი გეპარებათ და სწორედ ამიტომ წარუმატებლობის რისკი დიდია. ნუ დატოვებთ ერთ ადგილს, ჩაერთეთ საქმეში და წარმატებას უდავოდ მიაღწევთ.

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲙᲐᲜᲗᲕᲝᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

1	5	9	8	3	2	7	6	4
4	6	3	5	1	7	8	2	9
8	2	7	9	6	4	5	3	1
9	8	6	7	5	3	4	1	2
7	4	5	2	9	1	6	8	3
3	1	2	6	4	8	9	7	5
2	9	8	3	7	5	1	4	6
6	7	1	4	2	9	3	5	8
5	3	4	1	8	6	2	9	7

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

2	1	9	7	4	5	6	3	8
4	3	8	6	2	1	7	9	5
5	7	6	3	9	8	4	1	2
3	4	5	2	1	9	8	7	6
6	9	2	8	3	7	1	5	4
1	8	7	5	6	4	3	2	9
9	6	4	1	5	3	2	8	7
8	2	3	9	7	6	5	4	1
7	5	1	4	8	2	9	6	3

ᲠᲗᲣᲚᲘ

9	8	6	7	5	4	3	2	1
4	1	7	3	2	9	6	8	5
5	3	2	1	8	6	9	7	4
7	2	1	6	4	5	8	9	3
8	9	5	2	3	1	4	6	7
6	4	3	9	7	8	5	1	2
3	6	4	8	1	7	2	5	9
2	7	9	5	6	3	1	4	8
1	5	8	4	9	2	7	3	6

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

3	6	4	5	1	2	9	8	7
5	2	1	9	8	7	4	3	6
9	8	7	6	4	3	5	2	1
4	3	9	8	7	6	1	5	2
7	5	2	4	3	1	8	6	9
8	1	6	2	9	5	7	4	3
1	9	5	3	2	8	6	7	4
6	7	3	1	5	4	2	9	8
2	4	8	7	6	9	3	1	5

მე-12 გვერდი: 1. ბაზალეთი; 2. აფრა; 3. ვგზემა; 4. ინანთი; 5. იაგდტაში; 6. ავაზა; 7. დოდეკაედრი; 8. ამაო; 9. ამბროზია; 10. ყაშყაში; 11. ალტიმეტრი; 12. თომა; 13. ბარდნალა; 14. იუმი; 15. ათასი; 16. ელი; 17. ყბა; 18. ანისული; 19. შალი; 20. ოფოფი; 21. ბამბა; 22. ალფა; 23. გალათეა; 24. ლაიკა; 25. ყაისი; 26. მინკუსი; 27. ალი; 28. მეანი; 29. ალათაუ; 31. თუფაქი; 32. ლირა; 33. იმეილი; 34. ლაუდერი; 35. სიმფიზი; 36. აბო; 37. ნაირფერი; 38. ლიდსი; 39. შვეიკი; 40. არამეული; 41. რისკი; 42. ფული; 43. ტლუ; 44. რუქა; 45. ელდა; 46. „ლაციო“; 47. ბოი; 48. ტროსი; 49. ზიზღი; 50. ეცერი; 51. ალ; 52. ფაზილ; 53. ზიზუ; 54. ლირიკა; 55. დარი; 56. პორფირი; 57. ოფი; 58. ბროლი; 59. ლაზარე; 60. ოინი; 61. დელი.

საყვარელი ფერი ადამიანის ხასიათზე მეტყველებს



ფსიქოლოგები აცხადებენ, რომ ადამიანის ხასიათის ამოცნობის უამრავი მეთოდი არსებობს და მათ შორის, ერთ-ერთი საყვარელი ფერის მიხედვით ადამიანის შეცნობაა:

წითელი ფერი სიხარულის, სიყვარულის, სილამაზის მანიშნებელია, თუმცა ამავდროულად, აგრესიულობის, შურის, მტრობის სიმბოლოდაც მიიჩნევა. თუ ადამიანი უპირატესობას წითელ ფერს ანიჭებს, ის საკმაოდ თამამი, ნებისყოფიანი, ძალაუფლების მოყვარულია, ხოლო ვისაც წითელი აღიზიანებს, მას არასრულფასოვნების კომპლექსი აწუხებს და განმარტოება უყვარს.

თეთრი ფერი — სისუფთავის, უმწიკვლობის სიმბოლოდ მიიჩნევა, თუმცა შეიძლება საპირისპირო მნიშვნელობის მატარებელიც იყოს — ის თითქოს შთანთქავს და ანეიტრალებს სხვა ფერებს, საბოლოოდ კი, სიჩუმის, სიცარიელისა და სიკვდილის სიმბოლოც ხდება. ამ ფერს შეიძლება ნებისმიერი ხასიათის ადამიანები ირჩევდნენ.

შავი, როგორც წესი, უბედურების, გლოვის ფერია და ცხოვრებისადმი პესიმისტური დამოკიდებულების სიმბოლო გახლავთ. ადამიანები, რომლებიც უპირატესობას შავ სამოსს ანიჭებენ, ცხოვრებას ხშირად მუქ ფერებში აღიქვამენ, მიდრეკილნი არიან დეპრესიისკენ და ეჭვიც არ ეპარებათ, რომ მათი იდეალები ცხოვრებაში განუხორციელებელი დარჩება.

ყვითელი ფერის მოყვარულები საკმაოდ კონტაქტურები, ცნობისმოყვარეები, თამამები არიან და ადვილად შეუძლიათ მოიპოვონ სხვების კეთილგანწყობა.

თუკი საყვარელი ფერი **ლურჯია**, მაშინ საუბარია მოკრძალებულ, მელანქოლიურ პიროვნებაზე. ამ ფერს ვერ იტანენ ისინი, ვისაც სხვებზე შთაბეჭდილების მოხდენა უყვარს, თუმცა სინამდვილეში, საკუთარ თავში ჩაკეტილი ადამიანები არიან.

მწვანე ფერს უპირატესობას ისინი ანიჭებენ, ვინც ცდილობს, არასოდეს მოექცეს სხვისი გავლენის ქვეშ — ეს მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. **ნარინჯისფერი** მეოცნებე და კარგი ინტუიციის მქონე ადამიანებს იზიდავს, **ვარდისფერს** კი მეტად მგრძნობიარენი ანიჭებენ უპირატესობას, ამიტომ ეს ფერი მიუღებელია პრაგმატული ადამიანებისთვის.

პოლიციელის კოცნისთვის დააპატიმრეს

ფლორიდელი ქალბატონი იმის გამო დააკავეს, რომ პოლიციის სერჟანტს ცხვირზე აკოცა. წესრიგის დამცველი, რომელსაც 62 წლის პეგი ჰილი ეამბორა, ამ ქმედებას პოლიციის თანამშრომელზე თავდასხმის კვალიფიკაციას აძლევს და ამიტომ ქალი „დანაშაულის ადგილზე“ დააკავეს. თავდებით გამოსაშვებად პეგის 5 ათასი დოლარის გადახდა დასჭირდება, თავად კი სამართალდამცველებთან საუბრისას აცხადებს, რომ სერჟანტის კოცნის სურვული მოულოდნელად გაუჩნდა, რადგან ნასვამი იყო.

დიდი ცხვირი ინფექციის წინააღმდეგ

როგორც ამერიკელი მკვლევარები აცხადებენ, დიდი ცხვირის მქონე ადამიანები ყველაზე მეტად არიან დაცულები სხვადასხვა ვირუსული ინფექციებისგან. სწავლულები დარწმუნებულნი არიან, რაც უფრო დიდია ცხვირი, მით დიდია ბუნებრივი ბარიერი ჰაერწვეთოვანი გზით გადამტანი მტვრისა და ბაქტერიებისთვის. აიოვას უნივერსიტეტის მკვლევართა ჯგუფმა დაადგინა, რომ დიდ ცხვირი ჰაერში არსებულ სხვადასხვა ნაერთს 7%-ით ნაკლებად იწოვს. ექსპერიმენტისთვის მეცნიერებმა ორი ხელოვნური ცხვირი შექმნეს, რომელიც ხელოვნურ სახეზე დაამაგრეს, შედეგად კი გაირკვა, რომ დიდმა ცხვირმა 6,5-ჯერ ნაკლები მტვრის ნაწილაკი შეიწოვა.

„ოქროს პერგამენტი — 2013“-ის ლაურეატობის კანდიდატთა შერჩევა დაიწყო

2013 წლის ადამიანებისა და კომპანიების — „ოქროს პერგამენტის“ ლაურეატობის კანდიდატთა გამოსავლენად სარეიტინგო გამოკითხვა დაიწყო. „ოქროს პერგამენტის“ ლაურეატების დაჯილდოება, ტრადიციულად, 24 დეკემბერს გაიმართება. დაჯილდოების ცერემონიალს წელს ღონისძიების გენერალური სპონსორი — კაზინო „შანგრი ლა“ უმასპინძლებს.

„დავიწყეთ სარეიტინგო გამოკითხვა — ნომინაციების მიხედვით კანდიდატების შერჩევა, დეკემბრის დასაწყისში კი, გამოკითხვას საქართველოს მასშტაბით დავიწყებთ. ტრადიციულად, ერთადერთი ნომინაცია, სადაც რესპონდენტებს მიეცემათ თავისუფალი არჩევანის საშუალება „წლის ადამიანია“. სხვა ნომინაციებში გამოკითხვის ანკეტაში მითითებული იქნებიან კონკრეტული კანდიდატები, რომლებიც რეიტინგული გამოკითხვით შეირჩევიან“, — აცხადებს „ჯი-ეიჩ-ენის“ გენერალური დირექტორი გოჩა მირცხულავა.

„ოქროს პერგამენტის“ ლაურეატები 12 ნომინაციაში დასახელდებიან. აქედან, 11 გამარჯვებული გამოკითხვის საფუძველზე გამოვლინდება, ერთ ნომინანტს კი ორგანიზატორი — ახალი ამბების სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენი“ დაასახელებს. საკონსულტაციო კვლევითი ჯგუფი GCG-ს მიერ გამოკითხული იქნება 3 000-მდე რესპონდენტი. გამოკითხვა საქართველოს მასშტაბით ჩატარდება.

2013 წლის „ოქროს პერგამენტის“ ლაურეატები გამოვლინდებიან შემდეგ ნომინაციებში: წლის ადამიანი, პოლიტიკოსი, ბიზნესმენი, ხელოვანი, ჟურნალისტი, სპორტსმენი, წლის პროექტი, კომპანია, ბრენდი, კომუნიკატორი, უცხოური კომპანია და „ოქროს პერგამენტის“ საპატიო ლაურეატი.

გოჩა მირცხულავას განცხადებით, წელს დაჯილდოების ცერემონიალი განსხვავებული და მეტად საინტერესო იქნება, რაზეც გენერალური სპონსორი კაზინო „შანგრი ლა“ იზრუნებს.

„ცერემონიალის ჩატარების ადგილსა და გენერალურ სპონსორობასთან დაკავშირებით საკმაოდ საინტერესო შემოთავაზებები გვქონდა სხვადასხვა კომპანიისგან. მოგეხსენებათ, უცხოეთში კაზინო არ არის მხოლოდ „სათამაშო სახლი“ — იქ იმართება პრეზენტაციები, საქველმოქმედო საღამოები. შესაბამისად, მეტად საინტერესო წინადადება მივიღეთ კაზინო „შანგრი ლასგან“, რომელსაც დავთანხმდით. დაჯილდოების ცერემონიალის გარდა, დამსწრე საზოგადოებას შესაძლებლობა ექნება, მონაწილეობა მიიღოს გენერალური სპონსორის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში“, — აცხადებს მირცხულავა.

ღონისძიების საინფორმაციო მხარდამჭერები არიან: „ჯი-ეიჩ-ენი“, „რუსთავი 2“, „ტვ 3“, რადიო „ფორტუნა“, გაზეთი „პრემიერი“, გაზეთი „ვერსია“, გაზეთი „ქართული სიტყვა“, „მთავარი.ინფო“.

გასულ წლებში, სხვადასხვა ნომინაციაში, „ოქროს პერგამენტის“ ლაურეატები არიან: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, პაატა ბურჭულაძე, ჭაბუა ამირეჯიბი, მიხეილ სააკაშვილი, ირაკლი ალასანია, თეა წულუკიანი, ნინო ბურჯანაძე, გიორგი თარგამაძე, რობერტ სტურუა, ზურაბ ლეჟავა, გიორგი ოვაშვილი, რუსუდან ჭყონია, დავით კიკალიშვილი, ინგა გრიგოლია, ვახო სანაია, ნინო შუბლაძე, ია ანთაძე, ნოდარ მელაძე, თეა სიჭინავა, ეკა კვესიტაძე, დენის კიფი, პატრიცია ფლორი, მამუკა ხაზარაძე, გიორგი გოგუაძე, პაატა კურტანიძე, მაია რჩეულიშვილი, გელა მთივლიშვილი, სოსო ფხაკაძე, მანუჩარ კვირკველია, საქართველოს საკალათბურთო ნაკრები, საქართველოს მორაგბეთა ნაკრები, ირაკლი ცირეკიძე, ნოდარ ქუმარიტაშვილი, ნიკოლოზ ვაჩეიშვილი, კობა სუბელიანი, სანდრა რულოვსი, „გმირი“ — თაკო ფხაკაძე, „ვანის საგანძური“ — დავით ლორთქიფანიძე, „საქართველოს ვარსკვლავი“, „ნათელი ქრისტესი — საქართველო“ — ნესტან კირთაძე, ფონდი „იავნანა“ — პაატა ბურჭულაძე, „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე“, „აღმაშენებლის გამზირი და განახლებული გუდაური“ — გიგი უგულავა, ლუდსახარში „ნატახტარი“, „გალფი“, „თეგეტა მოტორსი“, „სმარტი“, „კავკასუს ინლაიანი“, „რომპეტროლი“, „კავკასუს ინლაიანი“, „იმედი L“, „თელიანი ველი“, „ავერსი“, „აქსისი“, „თი-ბი-სი ბანკი“, „საქართველოს ბანკი“, „ჯეოსელი“, „მაგთი“, „სახალხო ბანკი“, „სოკარი“, „ლიბერთი ბანკი“, ბანკი რესპუბლიკა“.



ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.